ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 27 (1400)

დეკემბერი, 1994 წელი

ფართომასშტაბიანი ტერორის დასაწყისი

მიმდინარე წლის 3 დეკემბერი საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ სერიოზული და ფართომასშტაბიანი ტერორის დაწყების დღე. ამ დღეს უხილავმა და მოუხელთებელმა ტერორისტებმა წუთისოფელს გამოასალმეს გიორგი ჭანტურია, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერი და მძიმედ დაჭრეს მისი მეუღლე და თანამოსაგრე, პარლამენტარი ირინა სარიშვილი.

ჩვენში რომ ტერორი კარგა ხანია მძვინვარებს, ეს ყველამ კარგად უწყის, მაგრამ საზოგადოება გააოგნა იმან, რომ ეს ტერორისტები, როგორც ჩანს, არაფერს ეპუებიან, არავის ერიდებიან და დღისით-მზისით, ხალხის თვალწინ ისე აკეთებენ თავიანთ საქმეს, თვალსაც კი არ ახამხამებენ და ეტყობა, არც დასჯისა ეშინიათ მომავალში.

რატომ აირჩიეს მორიგ მსხვერპლად მაინცდამაინც გიორგი ჭანტურია? რა იყო ეს: მაფიოზების ანგარიშსწორება თუ გამიზნული პოლიტიკური მკვლელობა?

აი, მთავარი კითხვები, რომლებსაც უნდა გაეცეს პასუხი, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ მოიხელთებენ მოუხელთებელ ტერორისტებს, რაც, ვფიქრობ, მეტად საეჭვოა, რადგან ამ მკვლელობის მასშტაბი და მის შემსრულებელთა თვითდაჯერებულობა და დაუსჯელობის შიში (თვითმხილველთა მტკიცებით) უდავოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ტერორისტული აქტის დამკვეთნი იმ ძალას წარმოადგენენ, რომლებზეც, სამწუხაროდ, ხელი არ მიუწვდებათ ჩვენს ოფიციალურ ძალოვან სტრუქტურებს. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ დღემდე მომხდარი არცერთი ტერორისტული აქტი არ გახსნილა და ისე სჩანს, არც მომავალში გაიხსნება.

არადა, გიორგი ჭანტურიას მკვლელობა ხელისუფალთათვისაც დიდი დარტყმაა, რადგანაც გიორგი ჭანტურია და მისი პარტია წარმოადგენდნენ სწორედ იმ ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც ეყრდნობოდა შევარდნაძის ხელისუფლება და მისი საშუალებით ახორციელებდა ბალანსის პოლიტიკას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა პარტიებთან და ძალებთან ურთიერთობისას.

ამ ხელისუფლებისადმი და პირადად შევარდნაძისადმი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთგვარმა ლოიალურმა დამოკიდებულებამ საზოგადოების გარკვეულ წრეებში წარმოშვა არცთუ უსაფუძვლო ეჭვი: ხომ არ ხედავს ჭანტურიაში შევარდნაძე იმ ძალას, რომელიც შეცვლის მას მომავალში? ეს, მიუხედავად იმისა,რომ თვითონ ჭანტურიას და მისი პარტიის შეხედულებები საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხებზე, ქვეყანაში გასატარებელ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხებზე მკვეთრად განსხვავდება იმ კურსისაგან, რომელსაც ახორციელებს დღეს ხელისუფლება.

რა თქმა უნდა, საზოგადოებაში გავრცელებული აზრი ჭანტურიას, როგორც მომავალში შევარდნაძის შესაძლო ალტერნატივის შესახებ, მხოლოდ ვარაუდების დონეა, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, არცთუ უსაფუძვლო და ვინ იცის, იქნებ ამიტომაც მოიცილეს იგი თავიდან იმ ძალებმა, რომლებმაც თავის დროზე ზვიად გამსახურდია გააძევეს საქართველოდან და რომელთაც ხელისუფლების სათავეში არ სურთ ისეთი პიროვნებისა და პარტიების მოსვლა, რომლებიც იზრუნებენ დასავლეთზე ორიენტირებული, თავისუფალი საქართველოს აშენებაზე და რომლებიც ალაგმავენ თავგასული მაფიის თარეშს.

მეორე ასპექტი კი ამ მკვლელობის მიერ ხელისუფლებისადმი მიყენებული დარტყმისა მდგომარეობს იმაში, რომ ამ ტერორისტულმა აქტმა საგრძნობლად შეარყია ხელისუფალთა ისედაც შერყეული იმიჯი დასავლეთში და დაანახა მსოფლიოს დემოკრატიულ წრეებს, რომ საქართველო მიდის არა იმ გზით, რა გზითაც უნდა მიდიოდეს და ქვეყანაში ანარქია, ქაოსი, მაფია, ტერორი მძვინვარებს და ხელისუფალნი, უკეთეს შემთხვევაში, უძლურნი არიან მასთან ბრძოლაში, უარეს. შემთხვევაში კი თვალს ხუჭავენ ყველაფერ ამაზე და თვითდინებაზე აქვთ მიშვებული ქვეყნისთვის სასიკვდილო ეს პროცესები.

იმიჯი იმიჯად, მაგრამ ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება,რომ თუ ეს ტერორისტული აქტიც, მსგავსად წინამორბედი აქტებისა, გაუხსნელი დარჩა, ამას შეიძლება მოყვეს უმართავი პროცესები ქვეყანაში, რითაც კვლავაც ის ძალები ისარგებლებენ, ვინც დგას სწორედ იმ ტერორისტთა ზურგს უკან.

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ ფართომასშტაბიანი, ამჯერად, პოლიტიკური ტერორი დაიწყო და დაიწყო ყველა იმ ძალისა და პიროვნების მიმართ, ვინც იბრძვის დამოუკიდებელი საქართველოს ასაშენებლად. ასე სათითაოდ, ცალ-ცალკე, სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით შეეცდებიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ლიდერების თავიდან მოცილებასაც და ეს მით უფრო გაუადვილდებათ, რაც მეტად დაქსაქსულნი და გათიშულნი იქნებიან ეს უკანასკნელნი. თუმცა, ამჯერად არაა გამორიცხული, ჭანტურიას მკვლელობამ გადაადგმევინოს მათ ამდენი ხნის მანძილზე სასურველი ნაბიჯი ერთიანობისაკენ. ყოველ შემთხვევაში ეს ახლო მომავალში გამოჩნდება.

სერგო ჯანაშია

ერთი ასანთის გაკვრა და...

ჩვენს გაზეთში საერთოდ ვერიდებით სოციალურ თემებზე წერილის გამოქვეყნებას, რადგან მიგვაჩნია, რომ ისედაც უკიდურესი გაჭირვების პირობებში მცხოვრებ ხალხს ზედმეტი შეშიჩნინება არ სჭირდება და ფაქტიურად, სოციალური თემების გამუდმებით წინ პლანზე წამოწევით დათვურ სამსახურს გაუწევთ არა მხოლოდ ხელისუფლებას ან ოპოზიციას, არამედ თვით ქვეყანასაც, რადგან დღეს ჩვენს ქვეყანაში ხელისუფალთა დამანგრეველი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის წყალობით, მაფიოზებისა და კრიმინალების არსებული თარეშის გამო, შეიძლება ითქვას, ნოყიერი ნიადაგია შექმნილი ერთი მეტად არასასურველი და უნდა ვთქვათ, ქვეყნისთვის უბედურების მომტანი მოვლენისათვის, რომელსაც სოციალურ აფეთქებას უწოდებენ და რომლისთვისაც, ღმერთმა ნუ ქნას და თუ მოხდა, სულერთია ხელისუფალიც, მისი ოპოზიციონერიც, ნეიტრალურ პოზიციაზე მდგომი კაციც და უბრალო მოქალაქეც — ეს მოვლენა ყველას და ყველაფერს თანაბრად გადაუვლის, ყველაფერს დანგრევს და გაანადგურებს.

არადა, ამჯერად ამ თემაზე წერილის დასტამბვა გადაგაწყვეტინა ორმა მეტად საშიშმა და დამაფიქრებელმა ფაქტმა, რომელსაც თბილისის გულში, ვაკეს და თავისუფლების მოედანთან ჰქონდა ადგილი. საქმე იმაშია, რომ ამ სამი თუ ოთხი კვირის უკან გამუდმებული უშუქობით გაწამებულმა ვაკელებმა სამანქანო გზა გადაკეტეს უნივერსიტეტის I კორპუსის წინ და ამით გამოხატეს თავიანთ პროტესტი მთავრობის მიმართ. ამ აქციაში მონაწილეობდნენ ყველანი, ქალებიც, კაცებიც, თქვენ წარმოიდგინეთ, მოზარდებიც და მეტად გაღიზიანებულნი, აგრესიულად შემართულნი აბრუნებდნენ უკან იმ მანქანებს, რომელთა მძღოლებიც ცდილობდნენ შეჯგუფებული ხალხის გარღვევას და გზის გაგრძელებას. სამწუხაროდ, ეს აქცია ტრაგიკულად დასრულდა. ერთმა დაუმორჩილებელმა მძღოლმა, როგორც თქვეს, ერთ-ერთი აქციის მონაწილე გაიტანა და გზა განაგრძო დიდი სიჩქარით, მაგრამ იქვე მყოფმა ერთ-ერთმა პოლიციელმა რამდენჯერმე ესროლა ამ მანქანას და უკან მჯდომი მგზავრი მოკლა, ხოლო მძღოლი დაჭრა.

მეორე ფაქტს კი მე თვითონ შევესწარი, ხუთშაბათს საღამოს. თავისუფლების მოედანზე მეტროს გახსნის მომლოდინე ხალხს პროტესტის ნიშნად მეტროს სადგურის წინ სამანქანო გზა გადაეკეტა და მანქანებს არ ატარებდნენ მოედნისკენ. შემაძრწუნა ამ ადამიანთა მეტად აგრესიულმა ქცევამ — დამორჩილებული მძღოლების მანქანებს ურტყამდნენ ფეხებს, ხელს, ყვირიდნენ ნერვიულად. სამწუხაროდ, აქაც მოხდა ტრაგიკული შემთხვევა. ერთ-ერთმა დაუმორჩილებელმა მძღოლმა მინც სცადა გზის გაგრძელება და აქციაში მონაწილე ერთ-ერთი ქალიც გაიტანა და მერე დიდი სიჩქარით ჩაუხვია ვაჩნაძის ქუჩისკენ.

ამ ფაქტებიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ქვეყანაში სოციალური მდგომარეობა ისეა დაძაბული, მხოლოდ ასე ვთქვათ, ასანთის გაკვრა უნდა, რომ აფეთქდეს.

ხელისუფლება კი ყურებს არ აპარტყუნებს და ელემენტარული ყოფითი პირობების მოგვარებასაც კი არ ცდილობს, თვითდინებაზე აქვს ყველაფერი მიშვებული და მბოლოდ დემაგოგიური ტელე თუ რადიოგამოსვლებით ცდილობს ხალხს შავი თეთრად მოაჩვენოს და საკუთარი თავიც დაამშვიდოს.

სამწელი მხოლოდ ერთი ჩანს: მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით ამ ქვეყნის დამაქცევარი მთავრობის გადაყენება და ხელისუფლების სათავეში იმ ძალების მოსვლა, ვინც ქვეყნის აშენებისათვის იზრუნებს და არა დაქცევისთვის ამ ხელისუფალთა მსგავსად.

სერგო რუხელი

დააბრუნეთ, დააბრუნეთ!

გაზეთ „საქართველოს“ 25-ე ნომერში გამოქვეყნდა მცირე მოცულობის წერილი სათაურით — „საქნერგო-თელასი აუღებელი ციხე“, სადაც ვკითხულობთ: „გასაკვირია პირდაპირ, რა ისეთი ნაზუქები აჭამეს მთავრობას საქნერგოსა და თელასის ხელმძღვანელებმა, რომ ლამის აუღებელი ციხე გახდნენ და მიუხედავად მათი უწყებების უგერგილო მუშაობისა, მაინც მშვიდად სხედან საკუთარ საუფროსო სავარძლებში და ისე ჩანს, არც მთავრობაში, არც მთავრობის აპარატში, არც მეთაურის არავინაა ისეთი, მათ რომ ბუზი აუფრინოს“. იქე ხუმრობაგაშვებით ვთხოვდით სახელმწიფოს მეთაურს, შეეცვალა ამ უწყების ხელმძღვანელები ახალი ხალხით და თუ ექსპერიმენტი არ გაამართლებდა, მაშინ დაებრუნებინა ისინი თავიანთ პოსტებზე.

თითქოს ჩვენ გვისმინესო, ერთი კვირის შემდეგ ორივე ხელმძღვანელი მართლაც გაათავისუფლეს და ახლები დანიშნეს, მაგრამ ჩვენი კიდევ მეტი უბედობაც აქედან დაიწყო. თუ აქამდე ოჯახებში არ გვქონდა ელექტროენერგია, მაგრამ ხანდახან რედაქციაში მაინც ვითბობდით გათოშილ გვერდებს, ახლა რედაქციაც ელექტროობის გარეშე დარჩა და მთელი დღეების განმავლობაში ერთი წუთითაც არ გვაწვდიან დენს.

მოკლედ, ჩვენს მიერ გალანძღული საქენერგოს და თელასის ხელმძღვანელებიც სანატრელი გაგვიხადეს.

ერთი სიტყვით, დააბრუნეთ ის ხალხი, მეტს აღარ ამოვიღებთ ხმას.

გაზ. „საქართველოს“ შტატიანი
კორესპონდენტები და ხშირი ავტორები

ეკონომიკა

უკულმა გაგებული რეფორმა

საქართველოს ხელისუფლებამ დიდი სიამაყით აცნო მოსახლეობას, რომ მათ დაიწყეს რადიკალური ეკონომიკური რეფორმა, რომ მათი უდიდესი ძალისხმევით მიმდინარეობს კუპონის კურსის გამყარება, რომ კუპონის კურსი რუბლთან შედარებით ამაღლდა და, რომ მიმდინარე პერიოდში ოფიციალური მონაცემებით 1 რუბლი შეადგენს 500 კუპონს, ხოლო ე.წ. „შავ ბაზარზე“ 400 კუპონსაც მიაღწია. მართლა ასე კარგად არის საქმე?

თუ ეს პროცესებს, რომელიც რუბლის მიერ კუპონის მიმოქცევიდან გამოძევების შემდეგ ხდებოდა, ინფლაციას ვარქმევდით, მაშინ ახლა მიმდინარე პროცესებს დეფლაცია უნდა დავარქვათ. თუ ეს ასეა, მაშინ ყველა ეკონომისტმა, რომელსაც საბაზრო ეკონომიკის თეორიაში რაიმე მაინც წაუკითხავს, უნდა იცოდეს, რომ დეფლაცია ეკონომიკის ისეთივე დასაგრეველი მოვლენაა, როგორც ინფლაცია და მთავრობისა და ბანკის მიერ განხორციელებული „საგმირო“ ღონისძიება ისევე უარყოფითად იმოქმედებს კუპონის მიმოქცევაში აღდგენის გზაზე, როგორც ჰიპერინფლაცია მოქმედებდა, თუ რატომ? — შევეცდებით ქვემოთ ავხსნათ.

როგორც ცნობილია, საწარმოს საბრუნავი საშუალებები შედგება ფულადი სახსრებისა და საწარმოო მარაგებისაგან. თუ ინფლაცია ანადგურებს საწარმოს ფულად სახსრებს, რის გამოც საწარმო ცდილობს მოიშოროს მის ხელი არსებული ფული და საბრუნავი საშუალებები იქონიოს მხოლოდ საწარმოო მარაგებში, ანუ მატერიალური სახით (რის გამოც ძლიერდება ინფლაცია), დეფლაცია ანადგურებს საწარმოო მარაგებს,რაც გამოიხატება აღნიშნული მარაგების ფასის შემცირებაში, ამიტომ საწარმო ცდილობს საწარმოო მარაგების შემცირებას და საბრუნავი საშუალებების მხოლოდ ფულად სახსრებში დაბანდებას (რაც ამლიერებს დეფლაციას). როგორც ვხედავთ, საწარმო ორივე შემთხვევაში ზარალდება და ამიტომ ყველა ცივილიზებული ქვეყანა ცდილობს მიღწეულ იქნეს ფულის სტაბილურობა. დეფლაცია რომ კარგი მოვლენა იყოს, ყველა განვითარებული ქვეყანა ამ გზას მიმართავდა.

რატომ არის ანტისტიმულირებული მაღალი დეფლაცია კუპონის მიმოქცევაში აღდგენის გზაზე? თუ რუბლის ინფლაცია თვეში 15%-ს შეადგენს, მაშინ საწარმო ამავე პერიოდში ფულადი სახსრების 15%-ს დაკარგავს, ხოლო თუ იმავე პერიოდში კუპონის დეფლაცია 50% იქნება, საწარმო კუპონის გამოყენებისას საწარმოო მარაგების ფასის შემცირების გამო დაკარგავს ამ მარაგების 50%-ს. ასევე. საბოლოო პროდუქცია შეიძლება აღმოჩნდეს უფრო იაფი, ვიდრე ნედლეულისა და რესურსების შესასყიდი ფასი. ასე რომ, „ჩვენი საწარმო“ შეეცდება შეინარჩუნოს რუბლი და არ გადავიდეს კუპონის გამოყენებაზე, მიუხედავად იმისა, თუ რა სიკაცრით მოთხოვენ პასუხს ამაზე. (საქართველოში მაკონტროლებელი ორგანოების „სიკაცრის ხარისხი“ ყველასთვის ცნობილია).

თუ საქართველოს ხელისუფლებას სურს კუპონი აღადგინოს მიმოქცევაში, ადმინისტრაციული (იძულების) ღონისძიებებს განხორციელებამდე საჭიროა შეიქმნას გარემო, რომლის დროსაც მეწარმისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება კუპონის გამოყენება, ვიდრე რუბლისა. ამიტომ აუცილებელია მიღწეულ იქნეს კუპონის სტაბილურობა, რაც გულისხმობს იმას,რომ თუ რუბლის ინფლაცია იქნება 15%, მაშინ კუპონის ინფლაცია ან დეფლაცია არ უნდა აჭარბებდეს აღნიშნულ რიცხვს ან იყოს ნულის ტოლი. ამ შემთხვევაში მეწარმე რუბლის გამოყენებისას დაკარგავს ფულადი სახსრების 15%-ს, ხოლო კუპონის გამოყენებისას იგი დაკარგავს უფრო ნაკლებს, რაც თავისთავად ადმინისტრაციულ ღონისძიებაზე უფრო ჭეშმარიტი საშუალება იქნება. სწორედ ამიტომ ბანკისა და მთავრობის „საქმენი საგმირონი“ სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკაში მეორე უკიდურესობის შეჭრა, რომელსაც ეკონომიკისათვის ინფლაციაზე არანაკლები ზიანის მოტანა შეუძლია.

ფრიდონ
ასლანიკაშვილი

რუსული პრესიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

3000-მა მშვიდობის დამამყარებელმა ჯარისკაცმა უნდა შექმნას ყარაბახის კონფლიქტის დარეგულირების პირობები

ოპერაცია მთიან ყარაბაღში, რომელიც პრინციპში მიხაღებად ჩათვალა ევროთათბირის ბუდაპეშტის შეხვედრამ, ისტორიაში უნდა შევიდეს როგორც მშვიდობის ხელშემწყობი ახალი ინტიტუტის დაბადება.

3000 ჯარისკაცის მხრებს, რომელთაც ელით ყარაბახში გაგზავნა, დააწვებათ მხარეთა დაშორიშორების ამოცანა, ცეცხლის შეწყვეტაზე მეთვალყურეობა, პოლიტიკური დარეგულირებისათვის პირობების შექმნა. თუ ოპერაცია განხორციელდება, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ევროთათბირი გადადგამს საერთაშორისო საქმეებში თავისი ავტორიტეტის გაზრდისათვის დიდ ნაბიჯს და ამავე დროს შეწყდება მის მიმართ არსებული მომაბეზრებელი ბრალდებებიც „ამორფულობასა და ლიბერალიზმში“.

ყარაბახში ძალისმიერი სამშვიდობო ჩარევის აუცილებლობაზე ლაპარაკი დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ აქამდე თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება — მიიღონ მასში მონაწილეობა, განაცხადა მხოლოდ ორმა ქვეყანამ — რუსეთმა და თურქეთმა. კონფლიქტის ჩაქრობაში მონაწილეობის მზადყოფნის საფუძვლად მოსკოვი და ანკარა თვლის აღნიშნულ რეგიონში საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების არსებობას.

ჯერ კიდევ ამა წლის დასაწყისში პავლე გრაჩოვი კონფლიქტის ზონაში რუსეთის ჯარების გაგზავნაზე თანხმობას იძლეოდა იმ პირობით, თუ მხარეები არ ესროდნენ ერთმანეთს და რუსეთის ჯარს მიანიჭებდნენ სამშვიდობო ძალების სტატუსს. ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით, თითქოს ყველაფერი რიგზეა — ყარაბახში ამჟამად არ ისვრიან, მაგრამ უფრო რთული აღმოჩნდა მშვიდობის დამამყარებლად აღიარება. ერევნისა და სტეფანაკერტისაგან განსხვავებით ბაქო ფრთხილობს, შიშობს რა, რომ არ წაუყენონ „ნაციონალური ინტერესების ღალატისა“ და „სუვერენიტეტის დაკარგვის“ ბრალდებები. ჰეიდარ ალიევი, მიუხედავად იმისა, რომ ეჭვი არ შეაქვს მოსკოვის უანგარობაში, მაინც მეტს უსმენს დასავლეთს და ამბობს, რომ ამჯობინებს მრავალეროვნულ ძალებს. ბუტროს გალიმ და გაეროში ამერიკის წარმომადგენელმა მადელინ ოლბრაიტმა, ბაქოში და ერევანში ვიზიტისას განაცხადეს, რომ წინააღმდეგნი არ არიან რუსეთის სამშვიდობო ძალებში მონაწილეობაზე, მაგრამ მათი ძალები არ უნდა აღემატებოდეს საერთო შემადგენლობის 30 პროცენტს. ამასთან ერთად აღნიშნეს,რომ ოპერაცია უნდა განხორციელდეს აუცილებლად ევროთათბირისა და გაეროს ხელმძღვანელობის ქვეშ, ეს ნიშნავს, რომ რუსულ ნაწილებს უმეთაურებენ სხვა ქვეყნების გენერლები.

საკითხის ამგვარად დაყენება მოსკოვს არ აწყობდა უკანასკნელ მომენტამდე, სანამ იმედი ჰქონდა, კონფლიქტის დარეგულირების პროცესში მისთვის უფრო მნიშვნელოვან ადგილზე, რაც შეეფერებოდა მის წონასა და გავლენას კავკასიაში, მაგრამ დასავლეთში ვერ ჰპოვა გაგება რუსეთის დიდმპყრობლურმა ამბიციებმა და მისდამი თანაგრძნობის ნაცვლად ეს იწვევდა გაღიზიანებას. რუსეთის წინადადებამ, რომ სამშვიდობო ძალებში მონაწილეობა მიეღოთ „სნგ“-ს ქვეყნებს, არაფერი შეცვალა. ყარაბახის პრობლემის დარეგულირების რუსული გეგმა ბუდაპეშტში აღარ განიხილება.

ევროთათბირში ამერიკის წარმომადგენელმა სემ ბრაუნმა გამოთქვა რჩევა ოპერაციის დაუყოვნებლად ჩატარების, სანამ ყარაბახში ზარბაზნები არ ალაპარაკებულან. თურქეთმა განაცხადა, რომ მზად ჰყავს 480 ჯარისკაცი კონფლიქტის ზონაში გასაგზავნად. გაეროს სალაროდან პირველ ექვს თვეზე გამოიყოფა 40 მილიონი დოლარი. დარჩა მცირეოდენი პრობლემა. მოწინააღმდეგე მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ ე.წ. „შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტის შეთანხმებას“ და ამის შემდეგ მათ შორის ჩადგებიან „ცისფერი მუზარადები“.

დიდი ფანტაზიის უნარი უნდა გქონდეს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოიდგინო შეთანხმებული სახით მხარეებს ამჟამინდელი დაპირისპირების ფონზე. საზღვრებისა და ტერიტორიულ საკითხში დაპირისპირების გარდა, მთავარ დაბრკოლებად რჩება აზერბაიჯანის უარი სცნოს სტეფანაკერტი კონფლიქტის მესამე მხარედ. ჯერ კიდევ არ დაფიქსირებულა მისი პოლიტიკური სტატუსი არცერთ დოკუმენტში, სადაც აზერბაიჯანის ხელმოწერა ადევს. ამასთან ერთად, როგორც ჩვენ გვითხრეს ყარაბახის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სტეფანაკერტი არასდროს დათანხმდება სამშვიდობო ძალებში თურქეთის ჯარების მონაწილეობაზე.

ბორის
ვინოგრადოვი

გაზ. „იზვესტია“ 9
დეკემბერი 1994 წ.

აღნიშნულ წერილში, ფაქტებზე დაყრდნობით დასტურდება, თუ რა ძალისხმევით იცავს აზერბაიჯანის ხელისუფლება თავის ქვეყნის სუვერენულ უფლებებს და ინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-სომხეთის აგრესიის შედეგად აზერბაიჯანის ტერიტორიის 25 პროცენტი ოკუპირებულია და მუქარა რუსეთის მხრიდან არ კლებულობს. სწორედ ამ შეუპოვრობის შედეგად აზერბაიჯანის პერსპექტივა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში ბევრად უკეთესია, ვიდრე საქართველოსი...

ინტერვიუ-ინფორმაცია

იგორ გიორგაძე: თუ პიროვნებებს მივადგებით, ერთ-ერთი დაინტერესებული პირი მე ვარ იმაში, რომ ეს საქმე გაიხსნას

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ იგორ გიორგაძეს.

— ბ-ნო იგორ! გიორგი ჭანტურიას მკვლელობასთან დაკავშირებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიებმა ერთობლივად გაკეთებულ განცხადებაში ერთ-ერთ მოთხოვნად თქვენი გადადგომა წამოაყენეს, რითაც ერთგვარად ბრალიც დაგდეს იმაში, რომ ამდენი ტერორისტული აქტიდან არცერთი არაა გახსნილი, ეს კი საზოგადოების თვალში მეტად საეჭვო ელფერს იძენს. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— ტერორიზმს არ ებრძვიან გამოძიების ძალით და გამოძიების გამოყენებით. ეს არის აბსურდი. უახლოეს დროში, სახელმწიფოს მეთაურმა დანიშნა შეხვედრა ჩვენს კოლექტივთან და მე იქ ამას ვიტყვი, მაგრამ შეგიძლიათ თქვენ წინასწარ მისცეთ ინფორმაცია მკითხველს. ქვეყანაში, სადაც მძიმე ჯავშანტექნიკაც კი გაანიათ არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებებს; ქვეყანაში, სადაც ერთდროულად გახსნილ საქმეებზე იძებნება 500 მკვლელი; ქვეყანაში, სადაც ეგრეთწოდებული ოპერატიული ნომრების სახით, სახელმწიფო ნომრები (მანქანების ნომრები) გაცემულია 47 ათას პირზე, უფრო სწორად რამოდენიმე ორგანიზაციაზე, მაგრამ რიცხობრივად ეს არის 47 ათასი ნომერი, (თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ მანქანას გაუკეთოთ და იაროთ); ქვეყანაში, სადაც მოშლილია საპასპორტო სისტემა და არის უკვე შემთხვევები, სადაც ერთიდაიმავე პირს ერთდროულად 10—12 და მეტი სხვადასხვა სახელზე გაცემული პასპორტი აქვს: ქვეყანაში, სადაც დიპლომატიური პასპორტიც კი გახდა ვაჭრობის საგანი, ასეთ ქვეყანაში ტერორიზმს გამოძიების სახით არ ებრძვიან. ტერორიზმთან ბრძოლა არის სახელმწიფოებრივი პროგრამა და ითვალისწინებს ერისა და ბერის გაერთიანებას, ითვალისწინებს გარკვეული ხარჯების გაწევას, იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამომუშავებას — აი ამ დანაშაულის წინააღმდეგ. ჩვენ სხვა გზით მივდივართ, ჩვენ დანგრევის გზით მივდივართ, ჩვენ ვერ მოვიშალეთ ის საშინელი სენი და თავიდან ვერ ავიცილეთ ეს დამანგრეველი, ქუჩური, მიტინგური, საფუძველს მოკლებული (ყველანაირ საფუძველს მოკლებული) მოთხოვნები... „ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური სიტუაციის გაუმჯობესებისათვის დაუყოვნებლივ მოვითხოვთ — იმ განცხადებაშია ნათქვამი — გადადგეს გიორგაძე, ნადიბაიძე“. იცით, მე რატომ არ გამოვდიოდი და რატომ არ ვაკეთებდი არანაირ კომენტარს, — კაცი მიწას არ იყო მიბარებული და ატყდა სამარცხვინო (იმათთვის სამარცხვინო, ვინც ატეხა ეს ყიჟინი) სიტუაციის გამოყენების მცდელობა თავიანთი რაღაც პოლიტიკური, პატარა დივიდენდების და მიზნების მისაღწევად. ღირსების შემლახველად მიმაჩნდა პასუხის გაცემა ყოველივე ამაზე. დანარჩენი მათ სინდისზე და ნამუსზე იყოს, ვინც აყენებს ასეთ მოთხოვნებს.

— საზოგადოებაში არის გარკვეული აზრი იმის შესახებ, რომ მაფიასთან და კრიმინალებთან ერთად არც უშიშროების სამსახურის ცალკეული რგოლები აკლებენ ხელს ქვეყნის ძარცვას. როგორც ამბობენ, ფოთის პორტზე, საბაჟოზე კრიმინალურ საქმიანობას ეწევიან თქვენი სამსახურის თანამშრომლები...

— სახელმწიფოს მეთაურის სპეციალური განკარგულების თანახმად, უშიშროების სამსახურს დაევალა აეღო თავისი კონტროლის ქვეშ ფოთის პორტი, ვინაიდან, პირობითად გეტყვით, 60 ტონა ტვირთიდან მეოთხედი, როგორც მინიმუმი, იკარგებოდა უკონტროლობისა და ბანდიტური თუ შეიარაღებული ჯგუფების თარეშის გამო. მიბრძანდით ფოთის პორტის დირექციაში, გადახედეთ მასალებს და მიხვდებით, რომ ეს სიცრუე კი არ არის, ეს არის ისევ იმ დამანგრეველი ძალის მცდელობა, რათა ზიანი მოგვაყენონ მორალურად, რომელიც უშედეგო იქნება და რატომ? — გეტყვით: ჩვენ მივაღწიეთ და შევინარჩუნეთ ყველაზე მთავარი, ჩვენი სისტემა არ გახდა კორუმპირებული, არის ზოგიერთი სისტემები, სადაც ხელქვეითმა, პატარა, უფრო სწორედ, პირველადმა რგოლმა იცის ზემოთ მყოფ რგოლს რამდენი უნდა მიაწოდოს თვეში თუ წელიწადში: კვარტალში თუ კვირაში, სანამ ჩვენ ვდგავართ აქ და მე ვარ ხელმძღვანელი, უშიშროების სისტემა კორუმპირებული ვერ იქნება და არ იქნება. და იცით რა, კორუფციაზე ყველაზე მეტს ის ყიჟინებს, ვინც კორუფციაში ჩაფლულია თავიდან ბოლომდე. უშიშროების სისტემას ჩვენ არავის არ გავათელინებთ. ჩვენ არავის არ ვემუქრებით, მაგრამ ჩვენი თავის დაცვის უნარი გვაქვს. ვერცერთი პოლიტიკური და არაპოლიტიკური, მაფიოზური და არამაფიოზური დაჯგუფება უშიშროების სისტემას დღეს ვერ მოარყევს. ყველა ასეთი განცხადება მიმართულია მხოლოდ იმისაკენ, რომ უშიშროების სისტემა დასუსტდეს. ვერა! ვერ მიაღწევენ მიზანს.

— ქ-ნმა ირინა სარიშვილმა—ჭანტურიამ საავადმყოფოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ არა აქვს იმედი იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლება გახსნის ჭანტურიას მკვლელობის საქმეს. თქვენ როგორ ფიქრობთ, შეძლებთ თუ არა ამ ტერორისტული აქტის გახსნას და თქვენის აზრით, რომელი ძალა დგას ამ მკვლელობის უკან?

რომელიც იტყვის, მე ამას გავაკეთებ და იმას გავაკეთებო — აი, ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით, ის, სულ ცოტა, არაპროფესიონალია. მე ვიტყვი ერთ რამეს: სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, ჩართულია ჩვენი გამოცდილი თანამშრომლები, შექმნილია უშიშროების სისტემაში და შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური საგანგებო შტაბები. ჩვენთან ამ შტაბს ხელმძღვანელობს ჩემი პირველი მოადგილე ავთანდილ იოსელიანი. ამ შტაბში შეყვანილია კიდევ ერთი მოადგილე, თემურ გრძელიძე, რომელიც ამავე დროს არის კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი,. წამყვანი სამმართველოების ხელმძღვანელები და ისინი ყოველდღიურად, არა ყოველკვირეულად, ყოველდღიურად, საქმის კურსში აყენებენ თავის საქმიანობის თაობაზე შტაბის უფროსს, ის მომახსენებს მე, და ჩვენ მოვახსენებთ ამას სახელმწიფოს მეთაურს და გენერალურ პროკურორს. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ეს დანაშაული გაიხსნას და ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დაინტერესებული უწყება, და თუ პიროვნებებს მივადგებით, ერთ-ერთი დაინტერესებული პირი მე ვარ იმაში, რომ ეს საქმე გაიხსნას. ხოლო რაც შეეხება კომენტარებს სხვადასხვა პარტიებისა და ლიდერების გამოთქმების თაობაზე, ძალიან გთხოვთ მე ნუ მკითხავთ.

— გმადლობთ.

ესაუბრა
ქეთი დავლიანიძე

რედაქციის კომენტარი: ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ როდესაც საქმე ჩავარდნილია, პასუხი მოეთხოვება იმას, ვისაც ეს საქმე აბარია. აქ თავის მართლება შეუძლებელია. კომენტარის სახით დავძენთ, რომ მთავარი მოპასუხე აქ ის არის, ვისაც უშიშროების საქმეც აბარია ყველა სხვა საქმესთან ერთად და ვისაც ერთადერთს ანგარიშს აბარებს უშიშროების სამსახური. ეს, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მეთაური გახლავთ.

როდესაც საქმეს ვერ აკეთებთ, ვალდებული ბრძანდებით მოახსენოთ საქმის დამვალებელს, რომ თქვენს ამოცანას ვერ ასრულებთ. ორივე შემთხვევაში — უშიშროების სამსახურთან მიმართებითაც და სახელმწიფოს მეთაურთან მიმართებითაც — მათი მარწმუნებელი და დავალების მიმცემი გახლავთ პარლამენტი. მაგრამ პარლამენტს ჯერ არც ერთი მათგანისაგან არ მოუსმენია აღიარება, ჩემზე დაკისრებულ საქმეს ვერ ვუძღვებიო.

შემდგომი კომენტარი მართლაც ზედმეტი გვგონია.

სამაჩაბლო

სანამ გვიან არ არის...

საქართველოს პარლამენტში, მრავალ საჭირბოროტო საკითხებთან ერთად არაერთხელ წამოყენებულა ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარება. გამომსვლელები ერთსულოვნად აღნიშნავდნენ, რომ სიტუაცია რეგიონში კონტროლს არ ექვემდებარება. ხოლო ამის გამომწვევ მიზეზად რესპუბლიკის პარლამენტში არის არაერთი აზრი.

ჯერ კიდევ 1990—1991 წლებში საქართველოს სამეცნიერო-პოპულარულ თუ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული იყო არაერთი მასალა იმის თაობაზე, თუ როგორ შეიქმნა ე.წ. სამხრეთოსეთის ავტონომიური ოლქი და საერთოდ ქართულ-ოსურ კონფლიქტზე.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა ერთი ნაწილი (ოპოზიცია) თვლის, რომ 1992 წელს, შიდა ქართლის რეგიონში მიმდინარე საბრძოლო მოქმედების დროს, ეროვნული გვარდია გ. ყარყარაშვილის შეთაურობით, უნდა შესულიყო ალყაში მყოფ ქ. ცხინვალში და შემდგომში უნდა განვითარებინა წარმატება. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში თავიდან აცილებული იქნებოდა აფხაზეთში საომარი მოქმედება.

მაგრამ, როგორც გახსოვთ, იმჟამად სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე მყოფი ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით, ალყა მოხსნილი იქნა. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იგი რეგიონში მშვიდობიანი გზით დააბრუნებდა ქართველ ლტოლვილებს და ამავე გზით მშვიდობას აღადგენდა რეგიონში.

მას შემდეგ თითქმის ორწელიწადნახევარზე მეტი გავიდა, მაგრამ, როგორც ჩვენ ვხედავთ, ჯერ-ჯერობით სამაჩაბლოში ქართველი ლტოლვილები არ დაბრუნებულან. პირიქით, მათ დაემატა ქართველი ლტოლვილები აფხაზეთიდან.

ქართველ პარლამენტართა მეორე ნაწილი თვლის,რომ სახელმწიფო მეთაურის კურსს ალტერნატივა არ გააჩნია და მიმართავენ ყოველნაირ დემაგოგიას, რათა გაამართლონ იგი. ეს პირველ რიგში ეხება ყოფილ პარტნომენკლატურას.

ამა წლის 8 ნოემბერს გამართულ საპარლამენტო დებატებზე ერთ-ერთმა დეპუტატმა უმრავლესობიდან თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურმე ნუ იტყვი და ყოფილ სამხრეთოსეთის ავტონომიურ ოლქში ვითარება იძაბებოდა ეროვნული მოძრაობის აღზევებასთან ერთად და კულმინაციას მიაღწია 1990 წლის დეკემბერში, როდესაც ზ. გამსახურდიას უზენაესმა საბჭომ გააუქმა შიდა ქართლის რეგიონში ოსთა ე.წ. ავტონომიური ოლქი. სხვათა შორის უზენაეს საბჭოში ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს კომუნისტებმაც.

მე არ ვიცი, იმ დეპუტატს მართლა სჯეროდა თავისი სიტყვებისა, თუ საერთოდ, როგორც სჩვეულებრივ კომუნისტებს, ხელახლა აყალბებდა ისტორიას,რათა დაემსახურებინა მავანის ქება და ა.შ.

ისტორიის ფალსიფიკატორებს ან არმცოდნეებს შევახსენებ, რომ ქარ-

გაგრძელება მე-6 გვ.

«სიძემ რა მოგვიტანაო...» ანუ რუსმა რა მოგვიტანა?!.

ოცდაათიანი წლების საქართველოში ხალხი მღერიდა ერთ უბრალო სიმღერას, რომლის ტექსტი კითხვა-პასუხით იწყებოდა, მერე სხვა შინაარსი გრძელდებოდა და რეფრენის სახით ვიღაც კვლავ კითხულობდა: „სიძემ რა მოგიტანაო?“. მეორე კი (ალბათ სიმამრი) უპასუხებდა: „დანჯღრეული გიტარაო“.

აი, ასე: — სიძემ რა მოგიტანაო?

— დანჯღრეული გიტარაო.

ახლა, როცა საქართველომ მესამედ იქორწინა რუსეთთან და ეს ქორწილიც იძულებითი იყო, ამიტომ გამახსენდა ზემოთ მითითებული სიმღერა. მისი მიბაძვით გაჩნდა ახალი ვარიანტი — „რუსმა რა მოგიტანაო?“ პასუხი ქვემოთ იქნება.

ჯერ გავიცნობიეროთ, რომ სნგ-ში შესვლა იგივე რუსეთში შესვლაა, ამიტომ სიძეც რუსეთია.

მკითხველს შევახსენებ, რომ სნგ-ში საქართველოს შესვლის მომხრენი დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ ფაქტზე. ისინი ვარაუდობდნენ (ხოგს მართლაც ასე ეგონა), რომ ამით, სულ ცოტა, მოგვარდებოდა შემდეგი მწვავე პრობლემები:

სამახალოში აღდგებოდა საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია.

ომში დამარცხებით დაკარგულ აფხაზეთს დავიბრუნებდით.

ლტოლვილები და დევნილები დაუბრუნდებოდნენ თავიანთ სახლკარსა და მიწას.

მოგვარდებოდა ბუნებრივი აირით მომარაგების პრობლემა.

გაუმჯობესდებოდა ელექტროენერგიით ქვეყნის მომარაგების საქმე.

რუსეთთან კავშირის აღდგენით ამუშავდებოდა ჩვენი სამრეწველო ობიექტები.

გადაწყდებოდა მოსახლეობის სურსათით მომარაგების მწვავე პრობლემა და უხვად შემოვიდოდა ხორცი, კარაქი, შაქარი და ა.შ.

გაუმჯობესდებოდა კრიმინოგენური ვითარება.

მოლოდინი და იმედი სხვაც მრავალი იყო.

დადგა დრო, როცა უკვე უნდა ვიკითხოთ: რომელი მათგანი შესრულდა, რა გაგვიუმჯობესდა, რა მივიღეთ?

გაუმჯობესდა კი არა, ყველაფერი გაუარესდა.

გვშია, გვცივა, მანვებივით სიბნელეში ვსხედვართ, გარეთ გასვლა სახიფათოა, ლტოლვილებს შინ დაბრუნების იმედი გადაეწურათ, სამაჩაბლო და აფხაზეთი ისევ დაკარგულია, საქართველო მათხოვრის მდგომარეობაში ჩავარდა, ვალებით აივსო და სირცხვილით თავი ჩავქინდრეთ, ადამიანები სასოწარკვეთას მიეცნენ, მომავლის იმედი გადაეწურათ, ხალხი ნერვიული გახდა, სიკვდილიანობამ იმატა, ქართველები საქართველოდან თავისი ნებით გარბიან, ქვეყანა სასიცოცხლო ძალებისაგან იწრიტება.

სად გაქრა ის იმედები, რომელსაც სნგ-ში შესვლაზე ამყარებდნენ? სხვაგვარად რომ ვთქვათ, „სიძემ რა მოგვიტანა?“ (ანუ რუსმა რა მოგვიტანა?).

ე.წ. სამშვიდობო ძალები, რომლებიც ენგურის გასწვრივ ორივე მხარეზე განლაგდნენ, გვპირდებოდნენ აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების უზრუნველყოფას, მაგრამ არაფერს აკეთებენ. ისეთი შეჭდილებაც კი იქმნება, რომ მათი მიზანია ენგურს იქით ქართველების გადასვლის შეკავება. ამ „სამშვიდობო ძალებს“ მიემატა ის მრავალრიცხოვანი რუსის ჯარები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განლაგდნენ. ყოველივე ამის გამო შეგვიძლია დასახელებული სიმღერის ახალი ვარიანტი ასე წარმოვიდგინოთ:

— რუსმა რა მოგვიტანა?

— ჯარები მოიყვანა.

ეს არის და ეს. განა სხვა რამეს უნდა მოველოდეთ კი?

ვინმეს ან რამეს ისე როგორ უნდა ვაფეტიშებდეთ, რომ გონებაც დაგვებინდოს, თვალებიც დაგვიბრმავდეს და ყურებიც დაგვეხშოს და ქვეყნის ასეთი ნგრევისა და გაპარტახების, ადამიანების ასეთ სატანჯველში ჩაგდების მიუხედავად მაინც ვერ ვხვდებოდეთ იმ საბედისწერო შეცდომებს, ჩვენი ხელისუფლება რომ უშვებს, იმ დამღუპველ გადაწყვეტილებებს, ის რომ ხშირად იღებს. სხვაგვარად როგორ უნდა შევაფასოთ საპარლამენტო უმრავლესობის, მოქალაქეთა კავშირისა და ზოგი სხვა საზოგადოების ის აღტაცებული ტაშისკვრა, რაც სნგ-ში შესვლის გადაწყვეტისას ატყდა. ნუთუ იმ ადამიანებს არ ეყოფათ ალბა, რომ ახლა მაინც პატიოსნად განაცხადონ, შევცდით, შეგვინდეთო.

ბოლოს და ბოლოს, დაეჭვდება კაცი, შეცდომებია ეს ყველაფერი, თუ დანაშაული.

აბა დავუკვირდეთ, სნგ-ში დღეს რა ხდება. იქმნება ისეთი ხელმძღვანელი ორგანოები, რომლებსაც მიზნად უსახავენ ამ ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა უფრო და უფრო შერწყმას, მათი რეალური დამოუკიდებლობის შეკვეცას და ყოველივე ამის ინიციატორი გამოდის რუსეთი, რომელიც ძველებურად „უფროსი ძმის“ როლს ჩემულობს, ამ პროცესს რუსეთი რეჟისორობს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებისა და მოქმედების გამოხატულებაა ე.წ. საინტეგრაციო ორგანოს შექმნა. მისი მოვალეობაც განისაზღვრა — ეკონომიკური ბერკეტების ისეთი გამოყენება, რომ ყველა ეს „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ ძველებურად რუსეთზე [illegible] მოაბან და მისი [illegible] ამბიციებს დაუკმაყოფილებლად. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, ბოროტების იმპერიის — სსრკ რესტავრაციას ნიშნავს.

დღეს მოსკოვში ისევე გამოუახეზენ ხელმე ე.წ. „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ მეთაურებს ან მთავრობათა თავმჯდომარეებს, როგორც ამას ადრე საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები აკეთებდნენ. დღესაც მოსკოვში ისევე კარნახობენ ამ საწყლებს თავიანთ ნება-სურვილს, როგორც უწინ. სადღაა დამოუკიდებლობა?

აშკარა გახდა, რომ რუსეთმა მოჩვენებითობაზე, ნიღაბზეც კი უარი თქვა და თავისი ტორები აშკარად გამოაჩინა. თუ აფხაზეთში გადაკმულ-შენილბული რუსის ჯარი ეომებოდა ქართველებს, ახლა ჩეჩნეთს უზარმაზარი ჯარი აშკარად მიუსია და ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსპობას ძალადობით წყვეტს. ასეა ეს. ამას დღეს ბრმაც ხედავს.

ნათქვამია, ძალა ალმართსა ხნავსო, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ალმართის ხვნა გაჭილებით ძნელია და ამის მქმნელი მალე იღლება, მას ძალები ელევა და ასეთ ხვნას მალე ვეღარ შეძლებს.

მანამდე კი მწარე ჭანგზე უნდა განვაგრძოთ ძველი სიმღერის ახალი ვარიანტის კვნესით ამოთქმა:

—რუსმა რა მოგვიტანაო?

— ჯარები მოიყვანაო.

მაგრამ ჯარის ხიშტებზე დადგმული ტახტი რომელ მეფეს შერჩენია?

ტარიელ კვანჭილაშვილი.

უმრავლესობას თვალები ეხილება

ერთ-ერთ ამასწინანდელ საპარლამენტო სესიაზე დაიწყო ის გარდუვალი და შეიძლება ითქვას, კანონზომიერი პროცესი, რომელსაც ასე ელოდა საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი თითქმის წელიწადნახევრის მანძილზე. ეს გარდუვალი პროცესი გახლავთ საპარლამენტო უმრავლესობის გამოღვიძება. დღეს უმრავლესობის ბევრი წარმომადგენელი უკვე სხვა თვალით უყურებს შეგარდნაძე-იოსელიანის ხელისუფლებას და ადრინდელივით მორჩილად, უსიტყვოდ არ უწევს მას ხელს საპარლამენტო სესიებზე ხელისუფალთათვის სასურველი საკითხის „გასათრევად“.

ეს ცხადი გახდა სწორედ იმავე სესიაზე, როცა ოპოზიციამ, შეიძლება ითქვას, ჩიხში მოიმწყვდია ხელისუფლება ქვეყნისთვის მტკივნეულ მრავალ პრობლემებზე და მათ შორის უმთავრესის, ქონების მოლაპარაკების და აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების საკითხებზე გამართული კამათის დროს. ოპოზიციის ლოგიკურ, დაჟინებულ კითხვებზე ხელისუფლებამ ვერაფერი უპასუხა და ბატონი ჯაბა იოსელიანის არაფრისმთქმელი, მიკიბულ-მოკიბული პასუხები გახდა, როგორც ჩანს, ის ერთ-ერთი, ასე ვთქვათ, მასტიმულირებელი ფაქტორი (რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ეს,), რამაც გადააწყვეტინა უმრავლესობის ერთბაშად ოთხ წევრს მიეტოვებინა უმრავლესობა და ამისთვის უმრავლესობის თავისთვის, ბ-ნ ვახტანგ რჩეულიშვილისათვის მიემართა შესაბამისი განცხადებით.

თუ რა მტკივნეულად აღიქვეს უმრავლესობის მეტად აქტიურმა და ასე ვთქვათ, აგრესიულმა წევრებმა თავიანთი ოთხი თანამოაზრის ეს „ღალატი“, თვით უმრავლესობის თავის, ბ-ნ ვახტანგ რჩეულიშვილის იმავწუთიერი რეაქციაც ნათლად გვიჩვენებს. აღელვებულმა ვიცე-სპიკერმა ოპოზიციას ბოროტების მსახურება დასწამა და აღელვებულ-აღშფოთებულმა დატოვა დარბაზი.

მოსალოდნელი იყო თუ არა უმრავლესობის ასეთი რღვევა? რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო და ეს უკვე რვა ნოემბრის საპარლამენტო დებატებზეც აშკარად გამოჩნდა, სადაც უმრავლესობის ბევრი წევრი უკვე ისე თავდაჯერებულად აღარ აქტიურობდა და განსხვავებით გასული წლის 27 სექტემბრისა, არც არაგის დაუჩოქებია (ზოგიერთთა გამოკლებით) და ყელაწეულს არ შეუღაღადებია მამა-მარჩენალისთვის, არიქა, დარჩი შენი ჭირიმე, არ დაგვლუპო!

თუმცა, უმრავლესობის საბოლოო დაშლაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია და მისი მეტად აქტიური (თანამდებობებსაც შეთავსებული) და შეიძლება ითქვას, ხელისუფლებისადმი ფანატიურად ერთგული (თანამდებობებს შეუთავსებელნი და მაძიებელნი) წევრები ასე ადვილად არ დათმობენ პოზიციებს და მაღალი რანგის მოძღვრებთან ერთად შეეცდებიან ისევ მონოლითურ კოლექტივად შეკრან უმრავლესობა და როცა ხელისუფალთ დასჭირდებათ, ადრინდებულად აგრესიულად მორჩილი პარლამენტარების ხელები ტყვეებად აღმართონ რომელიმე, მათთვის სასურველი საკითხის გადაწყვეტისას.

სხვა საქმეა, რამდენად გამოუვათ ახლა ეს მათ, რადგან დრო და ჩვენს ირგვლივ მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები ხელისუფლების წისქვილზე აღარ ასხამს წყალს და მეტიც, უკვე დარწმუნებული ვარ, ხელისუფალთა თვით ფანატიურად ერთგული მხარდამჭერიც კი შინაგანი ეჭვებითაა სავსე ამ მთავრობის ქვეყნის მართვის უნარიანობისადმი და გარკვეული დროის მერე, შესაძლო, მისმა შინაგანმა ეჭვებმა გარეგნული ფორმები შეიძინოს და ყოფილ კერპებს ზურგიც შეაქციოს.

ამის დასტურად ისიც შეიძლება დავძინოთ, რომ მომდევნო სესიებზე, რამდენადაც ვუწყოთ, კიდევ ოთხმა დეპუტატმა დატოვა უმრავლესობის რიგები და ეს პროცესი, როგორც ეტყობა, შეუქცევადი გახდება. მით უფრო, რომ ედპ-ს თავმჯდომარის, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერის, გიორგი ჭანტურიას განდალურმა მკვლელობამ თვალები უნდა აუხილოს ჯერ კიდევ ხელისუფალთადმი ბრმად მიმნდობ უმრავლესელებს და დაანახოს ის სახელმწიფო (თუ ამას სახელმწიფო ჰქვია), რომელსაც ასე მონდომებით „აშენებს“ ეს ხელისუფლება სწორედ ამ „ბრმა“ უმრავლესელთა არცთუ უმნიშვნელო მონაწილეობით.

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ უმრავლესობის ცალკეულ წევრებს თვალი ეხილებათ. მართალია, გვიან, მაგრამ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. იმედია, უმრავლესობის გამოღვიძების ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს და ყოფილი „უმრავლესელები“ ჯერ კიდევ შეძლებენ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეების გაკეთებას.

სერგო ჯანაშია

კრიტიკა

...მაინც ბრუნავს!

რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა ერთგვარი გადაძახილი — პოლემიკა გაზეთებს „ლიტერატურულ საქართველოსა“ და „საქართველოს“ შორის. პოლემიკა ძირითადად ორი საკითხიდ ირგვლივ ტრიალებდა: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარის, ეროვნული მოძრაობის ცნობილი წარმომადგენლის ნოდარ ნათაძის მონაწილეობა ფინანსურ მაქინაციებში და იმავე ნ. ნათაძის წიგნში („მითი და სინამდვილე“, თბ. 1978) გატარებული ერთი აზრის მიჩნევა მკრეხელურად.

პირველი საკითხის ირგვლივ გამართული პოლემიკის შეფასება სცილდება ჩვენს კომპეტენციას, თუმცა, ჩემი, როგორც მკითხველის შთაბეჭდილება ამ საკითხზე უკვე გაჩნდა (იხ. გაზეთი „საქართველო“, N—21, 1994).

შევნიშნავთ იმასაც, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო კორექტულობა ერთმანეთის მისამართით. ასე მაგალითად, ცნობილმა მეცნიერმა პროფესორმა ზურაბ სარჯველაძემ თავის დროზე ნ. ნათაძისათვის არჩევნებში ორჯერ ხმის მიცემა გაამართლა იმ მოტივით, რომ „არ ეცნობდი მას, როგორც პიროვნებასა და პოლიტიკოსსო“ და ამასთან არ იცოდა ნ. ნათაძის დამოკიდებულება მარქსიზმთან და ათეიზმთან („ლ.ს.“, 14 ოქტომბერი, 1994). ცნობილ მეცნიერს ნამდვილად არ ეპატიება ის, რომ მან ორჯერ, და ისიც შედარებით თავისუფალ არჩევნებში, ხმა მისცა პიროვნებას, რომელსაც არ იცნობდა, თუნდაც, როგორც პოლიტიკოსს. ამასთან, მას როგორც ბიბლიის შესანიშნავ მცოდნეს და მცნეიერი ხელნაწერების გამოცემის რედაქტორს მართებდა იესო ქრისტეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მიძღვნილი ნ. ნათაძის წიგნის — „მითი და სინამდვილე“ გაცნობა, რა ეანრისაც არ უნდა ყოფილიყო იგი.

თავის მხრივ გაზეთი „საქართველოც“ არ დარჩა ვალში და თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში ცნობილი მეცნიერი, ალექსანდრე ჭუმბოლტისა და აკაკი შანიძის პრემიების ლაურეატი მოიხსენია, როგორც „ყოვლად შემოხვევითი პიროვნება“, „ვინმე ზურაბ სარჯველაძე“, რაც არ ეპატიება ფდეისათვის ისეთ ავტორიტეტულ გაზეთს, როგორიც „საქართველოა“.

ამ ზოგადი შესავლის შემდეგ გადავიდეთ საქმეზე. მხედველობაში მაქვს ნ. ნათაძის წიგნში გატარებული ერთი აზრი („ითქმის უეჭველია, რომ ქრისტეს, მიუხედავად კავშირისა ეხეელთა სექტასთან, არ ჰქონდა განათლება მისი თანამედროვე მსოფლიო კულტურის სფეროში“), რომელიც მკრეხელურად იქნა მიჩნეული. უნდა ითქვას, რომ როგორც ეს აზრი ნ. ნათაძის ხსენებული წიგნიდან, ისე მისი განმარტება გაზეთ „საქართველოს“ ოქტომბერ-ნოემბრის ნომერში (№22, 1994), უფრო არაკორექტულობაა (თუ რატომ, ამის შესახებ ქვემოთ). ვიდრე მკრეხელობა.

ნ. ნათაძის აღნიშნულ მოსაზრებაზე ერთგვარი მსაჯულის ფუნქცია იკისრა ჟურნალ „რელიგიის“ მთავარმა რედაქტორმა ვიქტორ რცხილაძემ. მისი აქცენტების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ მას ეს აზრი მკრეხელობად მიაჩნია.

ბ-ნი ვ. რცხილაძე თელის, რომ საკითხის ასე დაყენება — ჰქონდა თუ არა იესო ქრისტეს განათლება „მისი თანამედროვე მსოფლიო კულტურის სფეროში“, უკვე ნინსენსია, რადგანაც ქრისტე არსებობდა არა მხოლოდ გამოცხადებამდე, არამედ დროთა შექმნამდე და იგი „განათლებული იყო“ არა მარტო რომელიმე ცალკეული „კულტურის სფეროში“, არამედ მან „უწყოდა კოსმოსისა და დროთა შექმნის საიდუმლოც. მან იცოდა ბოროტების არა მარტო ცალკეული გამოვლინება, არამედ იცნობდა და ორგუნავდა ბოროტების სათავეს და ა.შ. და ა.შ.

ვ. რცხილაძე იმოწმებს დანიელ ფილოსოფოსს სორენ კირკეგორს, ვისი აზრითაც, როგორც ამას ავტორი შენიშნავს — ღმერთის არსებობის დასაბუთების მცდელობა — ღმერთის შეურაცხყოფაა და ამატომაც უარყოფს იგი ამის მსგავს აზრს. ვითარებაა გამო ვერ მოვახერხეთ კირკეგორის ამ აზრის შემოწმება. მაგრამ ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს აზრი ღმერთის შეურაცხყოფაზე, ეს ნამდვილადაა ნონსენსი, რადგანაც ადამიანის ქცევების შეფასების სფეროდან აღებული კატეგორიების მისადაგება ღმერთისადმი, ყოვლად დაუშვებელია.

შევნიშნავთ იმასაც, რომ ვ. რცხილაძე კირკეგორს ისხენებს, როგორც ეგზისტენციალიზმის დამაარსებელს (?!). მოგეხსენებაო, ეგზისტენციალიზმი ფილოსოფიური მიმდინარეობაა და არა რომელიმე პარტია ან გაზეთი, ვინმეს რომ დაეარსებინა. ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი ფილოსოფიური მიმდინარეობის — ეგზისტენციალიზმის წარმომადგენლები კირკეგორს დოსტოევსკის, ნიცშესა და სხვებთან ერთად თავიანთ წინამორბედად თვლიან.

ვ. რცხილაძე კირკეგორზე დაყრდნობით თავის განმარტებას შემდეგი დასკვნით ამთავრებს: „თუკი ღვთის შეურაცხყოფად ითვლება მისი არსებობის დამტკიცება (თუ დასაბუთება? — მ.მ.), მაშინ რამდენად უფრო შეურაცხყოფელია და მკრეხელურია აზრი მისი ღვთაებრიობის „უარყოფისა?! ამაზე პასუხი მკითხველისათვის მიგვინდია“.

ვერ გავიზიარებთ ამ შეფასებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აქ ერთმანეთში ორი რამაა აღრეული: ღმერთი დასახული რელიგიის პოზიციიდან, მორწმუნის თვალთახედვით და ღმერთის შეფასება მეცნიერის პოზიციიდან.

თუკი მაცხოვარს რელიგიის პოზიციიდან ვხედავთ, ის რა თქმა უნდა ზედროული არსებაა — სამების ერთ-ერთი იპოსტასი. ღმერთის რანგში ამაღლებული მაცხოვრის შესახებ გამოთქმული დადებითი თუ უარყოფითი აზრი საბოლოოდ მაინც ვერ გამოხატავს მის არსებას, ვინაიდან ღმერთი საბოლოოდ ყოველგვარ დადებითსა და უარყოფით განსაზღვრებებზე მაღლა დგას. (ასე გაგებული ღმერთისათვის ყოველგვარი „ცოდნის“, „განათლების“... მისადაგება უადგილო და სრულიად ზედმეტია!); ღმერთზე, როგორც სამყაროს შემოქმედზე, ყოვლად სრულყოფილსა და აღმატებულზე მსჯელობა ადამიანისეული კატეგორიებით, ყოვლად დაუშვებელია. ეს ტრადიციული ღვთისმეტყველების ანბანური ჭეშმარიტებაა! გამომდინარე აქედან, თუკი მკრეხელობაა ღმერთზე რაიმის არცოდნის მიწერა, ასევე მკრეხელობად უნდა ჩაითვალოს მისდამი რაიმის ცოდნის მიწერაც. გამოთქმა — „ღმერთის შეურაცხყოფა“, და ა.შ. რადგანაც, ვამბობთ: ღმერთი ყოველგვარ განსაზღვრებაზე მაღლა დგას და მისდამი რაიმეს მიწერა, ისევ და ისევ ჩვენი მიზნებითაა გამართლებული, ჩვენ გვჭირდება და არა საკუთრივ ღმერთს. ღმერთის არსებობას უფრო შეესაბამება მასზე არაფრის თქმა — დუმილი.

მეცნიერების პოზიციიდან კი ქრისტე ან რეალურად არსებული ისტორიული პიროვნებაა ან მითიური სახე. მეცნიერი, ვინც ქრისტეს ისტორიულად არსებულ პიროვნებად მიიჩნევს, მასში უპირველესად ხედავს ადამიანს თავისი ღირსებებითა და ადამიანური ნაკლოვანებებით. ყველაფერი ეს პირველად ნ. ნათაძეს არ უთქვამს და მანამდეც კარგად იყო ცნობილი (შტრაუსი, რენანი, ნიცშე...). გამომდინარე აქედან, მეცნიერის პოზიციიდან გამოთქმული და პოლემიკის საგნად გაქცდარი ნ. ნათაძის ეს აზრი, თავისი არაკორექტულობის მიუხედავად, მკრეხელობად ვერ ჩაითვლება.

როგორც ვნახეთ, ბ-ნი ვ. რცხილაძე თავისი აზრის გასამაგრებლად ავტორიტეტებსაც. კერძოდ კირკეგორს, მიმართავს. მაგრამ, რამდენად მართებულია ასეთი საკითხების განხილვისას ავტორიტეტების დამოწმება? ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს არამართებული უნდა იყოს და აი რატომ: კირკეგორზე დიდი ავტორიტეტები, მაგ. დეკარტი და ჰეგელი, ღმერთის არსებობის დასაბუთების ყველაზე მნიშვნელოვან ონტოლოგიურ არგუმენტს, რომლის ავტორიც გახლდთ გამოჩენილი ღვთისმეტყველი ანსელმ კენტერბერიელი (1033-1109), მართებულად მიიჩნევდნენ. თუმცა იმასაც ამბობენ ეს არგუმენტი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა.

რაც მთავარია, ანსელმ კენტერბერიელი შეუფალ ავტორიტეტად ითვლება ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში.

ქრისტიანული ღვთისმეტყველების ასევე შეუფალი ავტორიტეტია თომა აქვინელი (1225-1274), რომელსაც ეკუთვნის ღმერთის არსებობის დასაბუთების არაერთი არგუმენტი, მათ შორის ხუთი ცდისეული. მიუხედავად თომა აქვინელისადმი გარკვეული საეკლესიო წრეების უარყოფითი დამოკიდებულებისა (1277 წელს პარიზის ეპისკოპოსმა მისი ზოგიერთი დებულება ოფიციალურადაც დაწყევლა). კათოლიკურ ეკლესიას იგი არც ანათემისათვის გადაუცია და არც მოუკვეთია, პირიქით 1323 წელს წმინდანად შერაცხა.

ბ-ნი ვ. რცხილაძე იხსენებს კომუნისტურ ხანას, როცა იესო ქრისტეს რეალური არსებობის ფაქტი უარყოფილი იყო. დავამატოთ ისიც, რომ კომუნისტური — ათეისტური მსოფლმხედველობა საერთოდ ყოველგვარი რელიგიისა თუ რელიგიურის უკომპრომისო მოწინააღმდეგე იყო. შეიცვალა დრო და რელიგიისადმი კომუნისტური იდეოლოგიის წნეხი ისტორიის კუთვნილება გახდა. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ შეიცვალა მთავარი საკითხისადმი რელიგიური და მეცნიერული (ფილოსოფიური) მიდგომა, ან დიდი იტალიელი მოაზროვნისა და ჰუმანისტის ჯორდანო ბრუნოს უკანასკნელი შეძახილი დედამიწის შესახებ — „მაინც ბრუნავს!“ ძალადაკარგულად ითვლება? ისიც გავიხსენოთ, რომ სწორედ მიმდინარე წელს კათოლიკური რელიგიის ცენტრმა — ვატიკანმა შეცდომად ჩათვალა დიდი ჰუმანისტის ჯორდანო ბრუნოს დასჯა და თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ გააუქმა ეს განაჩენი.

დაბოლოს, თუკი პრობლემებს განვიცალკევებთ და ყველას თავისი პოზიციიდან განვიხილავთ, მაშინ თავიდან ავიცილებთ ასეთ საწყარო გაუგებრობებს.

მიხეილ მახარაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.

ჩეჩნეთი

აგრესია დემოკრატიის დროშით

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს ახალგაზრდობის კონსერვატიული კავშირის თავმჯდომარესთან ბ-ნ კორნელი კ-კახასთან, რომელშიც ცნობილი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი ბზიგნევ ბზეჟინსკი ასეთ რამეს ამბობს: მთავარია თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინი, ხალხის მტკიცე ნება და ასეთ ხალხს ვერავინ მოერევაო.

ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენები. კერძოდ კი ის, რომ ერთ მუშტად შეკრულმა ჩეჩენმა ხალხმა (მოსყიდული ე.წ. ოპოზიციის გამოკლებით) ისეთი მტკიცე ნება და თავისუფლებისადმი შეუპოვარი ლტოლვა გამოამჟღავნა, რომ კუდით ქვა ასროლინა მის ჩასაფლავად გამზადებულ ხახადაღებულ ჩრდილოელ მეზობელს.

სამწუხაროდ და ჩვენდა სავალოდ, ასეთი მტკიცე ნება ჩვენ ჩვენ არ აღმოგაჩნდა და რიცა საქმე საქმეზე მიდგა, ნაცვლად იმისა,რომ ერთად დავმდგარიყავით და ერთად დაგვცვა ქვეყნის თავისუფლება, მტრის გაღმოგდებულ ანკესს ისე ადვილად ჩამოვეგეთ, რომ საბოლოოდ ერთმანეთი გავუუეთ, ერთმანეთს მტრად მოვეკიდეთ, ერთმანეთი შევიძულეთ და ასე დაწალიკებულ-დათითოკაცებულებმა ქვეყანაც თან, უფსკრულში გადავიყოლეთ და რაც მთავარია, მტერს მივეცით იმისი საშუალება,რომ საკუთარი გვემა ბრწყინვალედ შეესრულებინა.

დღევანდელი ოფიციოზი და მისი ერთგული პრესა თუ ტელევიზია დაჟინებით გვიჩიჩინებს იმ აზრს, რომ ჩვენ დამოუკიდებლად ვერ ვიარსებებთ, ურუსეთად გავწყდებითო და ხელისუფალთა ამ პროპაგანდას ყოფილი სამეურნეო მუშაკები (დირექტორები, კოლმეურნეობისა თუ მეურნეობის თავმჯდომარეები და ა.შ.), ყოფილი კომუნისტ—ფუნქციონერები, ყოფილი თუ ახლანდელი ე.წ. ნომენკლატურა, ახლადწამოჩიტული თუ დახავსებული მაუიოზებიც რიხიანად უკრავენ კვერს და ჩრდილოეთის გარდა მსოფლიოს სხვა ძალაენებს არც სცნობენ. არადა, აგერ, პატარა ჩენნეთის და ბალტიისპირეთის პატარ-პატარა ქვეყნების შაგალითზე ხომ ცხადია, რომ ურუსეთოდ ცხოვრება შეიძლება და ბალტიისპირეთის მაგალითსაც თუ ავიღებთ, უფრო უკეთესადაც. ეს იმ შემთხვევაში, თუ, რა თქმა უნდა, იქნება ეროვნული ხელისუფლება, ხალხის მტკიცე ნება და ერთიანობა.

რუსეთი ერთი და იგივე სცენარით მოქმედებს ყველგან: საქართველოშიც, აზერბაიჯანშიც, ჩეჩნეთშიც.. მოლდოვაშიც... აფეთქებს ადრიდანვე მის მიერვე ჩადებულ ნაღმებს და მერე თვითონვე მართავს პროცესებს, თვითონვე კისრულობს მედიატორობას, სამშვიდობო მისიასაც და საბოლოო ჯამში შესანიშნავად ახორციელებს თავის ნანაფიქრს. ასე იყო ბბილისშიც, 1991—92 წლებში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ამბებში, ასე იყო აზერბაიჯანშიც, როცა ხალხის არჩეული პრეზიდენტი გაძევეს, ასე იყო მოლდოვამიც, სადაც დნესტრისპირეთის რესპუბლიკა შეექმნეს... ასეა დღეს ჩეჩნეთში, სადაც შექმნეს ოპოზიცია, რომელიც დემოკრატიის დროშით (ისევე, როგორც ჩვენთან იყო 1991—92 წლებში) ცდილობს გაძევეს ხალხის არჩეული პრეზიდენტი, რომელსაც დიქტატორობას, ავტორიტარული რეჟიმის დამყარებას სწამებს და რუსული ტანკებით, რუსული იარაღით, რუსი სამხედროებით ცდილობს ამის გაკეთებას.

არის თუ არა დუდაევი დიქტატორი, დამყარა თუ არა მან ავტორიტარული რეჟიმი, ეს ცალკე სასაუბრო თემაა. აქ მთავარი ისაა, რომ დუდაევს ხალხი უდგას გვერდით და მასთან ერთად ცდილობს დაიცვიოს თავი საუკნოვან ძირნას. ხოლო ის, რომ დუდაევი გენერალია და წარმატებით იგერიებს აგრესორის სამხედრო შეტევებსაც, ეს უკვე, შეიძლება ითქვას, მართლაც რომ ღმერთის წყალობაა ამ პატარა ქვეყნისათვის.

რა თქმა უნდა, გულუბრყვილობაა იფიქრო, რომ პატარა ჩენნეთი გაუძლებს ჩრდილოელი ვეშაპის პირდაპირ აგრესიას. მაგრამ საქმეც ეგ არის,რომ ეს ჩრდილოელი ვეშაპი პირდაპირ აგრესიას ამ პატარა ქვეყნისადმი ვერ და არ მიმართავს, რამეთუ ის მსოფლიოს თვალში ჯერ კიდევ დემოკრატიას თამაშობს და იცის, რომ პირდაპირი აგრესიის განხორციელებით ამ ქვეყნის მიმართ მისი დემოკრატიული იმიჯი საგრძნობლად შეირყევა დასავლეთის თვალში, თუმცა ბოლოდროინდელი მოვლენები ცხადყოფს, რომ რუსეთს ისე აქვს გამჯდარი იმპერიული ამბიციები, არც პირდაპირ აგრესიაზე იხევს უკან და რომ არა ჩენენი და ინგუში ხალხის ერთსულოვნება, ასევე მსოფლიოს დემოკრატიული წრეების მიერ ატეხილი განაში, შეიძლება გროზნო უკვე აღებული ჰქონოდა რუსის ჯარს და არც იმ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე წასულიყო, დღეს რომ იმართება ოფიციალურ გროზნოსა და რუსეთს შორის, თუმცა ამ მოლაპარაკებებს რა შედეგი მოყვება, ძნელი სათქმელია.

რამდენადაც ვიცი, ჩვენს ოფიციალურ წრეებს არანაირი სახით არ გამოუხატავთ თავიანთი პოზიცია ჩვენს მეზობელ ქვეყანაში, ჩეჩნეთში მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენებისადმი და ეს გასაგებიცაა მათი მხრიდან, რადგანაც თვითონაც მსგავსი მოვლენების შედეგად მოვიდნენ ხელისუფლებაში. სამწუხაროდ, არც პოლიტიკურ პარტიებს, არც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუწუხებიათ თავი ამისთვის. არადა, თავისუფლებისათვის მებრძოლი ჩეჩნეთი არის იმისი ღირსი, რომ სიტყვიერი თანაგრძნობა და სოლიდარობა მაინც გამოუცხადოთ და მსოფლიოს წინაშეც ხმამაღლა ვთქვათ, რომ რუსული იმპერია ნაყლაპავს უპირებს ამ პატარა, თავისუფლებისათვის მებრძოლ ქვეყანას და ეს აგრესია ხდება დემოკრატიის დროშით.

ამით ჩვენ ჩვენსავე ნებასაც გავამჟღავნებთ თავისუფლებისადმი და მსოფლიოს დემოკრატიულ ძალებს დავანახვთ, რომ ჩვენში თავისუფლების წყურვილი არ ნამკვდარა და კვლავაც ვებრძოლებთ მისთვის.

სერგო ჯანაშია

აზერბაიჯანელები დუდაევს ეხმარებიან?

ყარაბახის საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან მთიანი ყარაბახის თავდაცვის შტაბის დაბვერვის ორგანოების ცნობებზე დაყრდნობით, რომ 6 დეკემბერს ყარაბახ-აზერბაიჯანის ფრონტის აგდამის უბნიდან მოიხსნა და ბაქოში გაიგზავნა სპეციალური დანიშნულების ჯარების ბატალიონი. არსებული ცნობებით აღნიშნული ბატალიონი დაგეგმილია გაიგზავნოს ჩეჩნეთში დუდაევის ჯარების მხარდასაჭერად. გაკეთდა ეს აზერბაიჯანის სულიერი ლიდერების მოთხოვნის საფუძველზე, რომლებიც იზიარებენ დუდაევის მოწოდებას რუსეთის ნინააღმდეგ წმინდა ომის გამართვის თაობაზე. არის ცნობები, რომ ბაქოში გასაგზავნად, შემდგომ ჩეჩნეთში გადასროლის მიზნით მზადდება კიდევ ორი სპეციალური დანიშნულების ნაწილი, რომლებიც ამჟამად ყარაბახის ფრონტზე დგანან. ამრიგად, აზერბაიჯანის არმია, უახლოეს ხანებში და საეროოდ არ ელოდება საომარ მოქმედებათა განახლებას და ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას საშუალება ეძლევა დაეხმაროს დუდაევს თავისი ქვეყნის რელიგიური ლიდერების მოწოდების საფუძველზე.

გაზ. „იზვესტია“.

სანამ გვიან არ არის...

მესამე გვერდიდან

თუალ-ოსური კონფლიქტი დაიწყო არა 80—90 წლების მიჯნაზე, არამედ გაცილებით უფრო ადრე.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბოლო დრომდე დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ქართველთა მიერ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების შელახვა, ჩაგრა და ა.შ.

1917 წლის რევოლუციამდე ქართველებსა და ოსებს შორის არ ყოფილა შეიარაღებული შეტაკებები. 1918-1920 წლებში შიდა ქართლში ბოლშევიკები აწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის და შიდა ქართლის რეგიონის საქართველოდან ჩამოშორებისა და მისი რუსეთისადმი შეერთების მიზნით. აჯანყებულნი კლავდნენ, აწიოკებდნენ ე.წ. „კლასობრივ მტრებს“ — ქართველებს.

ყველაზე მსხვილი აჯანყება მოხდა 1920 წლის მაის-ივნისში რკპ/ბ კავბიუროს მითითებით, რომელმაც უკიდურესად დაძაბა ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის. აჯანყებულებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება და გამოაცხადეს სამხრეთ-ოსეთი „რუსეთის შემადგენელ ნაწილად“.

აჯანყებულთა მოთხოვნები, რომელიც მიმართული იყო დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ, ეწინააღმდეგებოდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომლის მიხედვით ე.წ. სამხრეთოსეთი ცნობილი იყო როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილი. ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ თვით კავბიურომ მოითხოვა აჯანყების შეწყვეტა, მაგრამ აჯანყების ორგანიზატორებმა ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნა.

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების არაერთი მცდელობის შემდეგ, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული იყო მიეღო სათანადო ზომები, რათა დაეცვა თავისი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური წყობა. იგი იძულებული იყო მიეცა სათანადო განკარგულება თავისი შეიარაღებული ძალებისათვის, დაემყარებინა წესრიგი შიდა ქართლში.

თუ ღრმად ჩავიხედავთ 1918-1920 წლებში შიდა ქართლის რეგიონში მიმდინარე პროცესებში, დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ბოლშევიკების მიერ ინსპირირებული ოსების შეიარაღებული გამოსვლების მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ე.წ. სამხრეთოსეთში, მისი ჩამოშორება საქართველოდან და მიერთება რუსეთთან.

ოსთა ეს ანტიქართული აჯანყება ეროვნულ სამოსელში გახვეული პროლეტარული, ფსევდოსოციალური ხასიათისა იყო.

სამწუხაროდ, ისტორიამ დაგვანახა, რომ დაღვრილ სისხლს, მით უფრო თუ ეს ეროვნული კონფლიქტის დროს მოხდა, საუკუნეებით არ ივიწყებენ თაობები.

სამწუხაროდ, ამას არ ითვალისწინებენ გაეროსა და ევროგაერთიანების წარმომადგენლები საქართველოში, რომლებიც გვევლინებიან ამ მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მეხანძრეებად კონფლიქტურ რეგიონებში.

ჯერ კიდევ სამოცი წლის წინ დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი დ. ლლოიდ-ჯორჯი წერდა: „როდესაც ერები დაიღალნენ ომებისაგან, რომელშიც მათ დახარჯეს მთელი თავისი ძალ-ღონე და გამოვიდნენ იქიდან დაღლილები და დასისხლიანებულნი, არაა ძნელი დაამყარო რამენაირი მშვიდობა, რომელიც გაგრძელდება მანამ, სანამ არ წავა თაობა, რომელმაც განიცადა ომის ყველა საშინელება. გმირობისა და ტრიუმფების სურათები ხიბლავს იმათ, ვინც არაფერი იცის ომის ტანჯვაზე და საშინელებაზე. ამიტომ ადვილია დაამყარო მშვიდობა, რომელიც გასტანს არაუმეტეს 30 წელს“.

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე რომენ როლანი წერდა თავის თაობაზე: „მოგვიანებით ძალი იქნება გაიგო ის მდგომარეობა, თუ რა მორალურ ჩაგვრაში გაიარა ჩვენმა საყმაწვილემ — იმ თაობის საყმაწვილემ, რომელიც დაიბადა 1866-1872 წლებში. (1870—1871 წწ. [illegible] ცხი განიცადა პრუსიასთან ომში. მისი ისტორიული პროვინციები ელზას-ლოტარინგია ინკორპირებულ იქნა გერმანიის მიერ და აგრეთვე კონტრიბუციის სახით საფრანგეთმა გადაიხადა 5 მლნ. ფრანკი.)... სიკვდილი ფეხდაფეხ დარაჯობს ჩვენს თაობას, ხოლო მისი სახე ნათელია: ეს ომია. 1875 წლიდან ქვეყანა ცხოვრობს ომის მოლოდინში. 1880 წლიდან მისი ბედი გადაწყვეტილია და გახდა გარდაუვალი...“

ალბათ იგივე ითქმის დღევანდელ საქართველოზე. მარცხი ომში, დაკარგული სამაჩაბლო და აფხაზეთი, შეურაცხყოფილი ეროვნული თვითშეგნება!.. გავა დრო და ისტორია ყველაფერს განსჯის.

მაგრამ ნუ გავიმეტებთ ჩვენს შემდგომ თაობას სიკვდილისათვის და ჩვენ თვითონვე, სანამ გვიან არ არის, გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები.

გიორგი კუჭავა,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტი

ისევ არჩევნების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ მორიგ არჩევნებამდე წელიწადზე ოდნავ ნაკლებია დარჩენილი, საქართველოში მეტად თუ ნაკლებად გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა დაიწყეს მისთვის მზადება. არჩევნებისთვის ემზადებიან როგორც გადაღებილი, ასევე დღევანდელი წითლები, კრიმინალურ-მაფიოზური ელემენტები და ოპოზიციური ძალები. აქტუალური გახდა, თუ რომელი საარჩევნო სისტემით ჩატარდება იგი და ამასთან დაკავშირებით მინდა მკითხველს რამდენიმე მოსაზრება გავუზიარო.

უპირველეს ყოვლისა, როდესაც საარჩევნო კანონზეა ლაპარაკი, უმთავრეს ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რა სისტემით ტარდება არჩევნები და არა მთლიან კანონს, რომელშიც სისტემას სულ რამოდენიმე პარაგრაფი ეძღვნება, ხოლო დიდი და არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი კი, არჩევნების ჩატარების პროცედურას. თუ ის ვერ უზრუნველყოფს არჩევნების ობიექტურობას, ყოველგვარ კამათს ამა თუ იმ სისტემის ავკარგიანობაზე აზრი არ აქვს. რაც შეეხება საარჩევნო სისტემებს, 1990 წლიდან საქართველოში სამი არჩევნები ჩატარდა, ორი საპარლამენტო და ერთი ადგილობრივი და საქართველოს მოსახლეობამ საკმაო გამოცდილება მიიღო როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული, აგრეთვე ისეთი საკმაოდ რთული და იშვიათი სისტემით, როგორიცაა ერთადერთი გადასაცემი ხმით ჩატარებულ არჩევნებში.

მაჟორიტარული სისტემა ყველაზე მარტივი და ადვილად აღსაქმელია მოსახლეობისათვის, რადგან ერთ, უმთავრესად ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის დეპუტატობის რამოდენიმე კანდიდატი, რომლებიც მოსახლეობისათვის მეტნაკლებად არიან ცნობილნი და ამომრჩეველმა ერთ-ერთ მათგანს უნდა მისცეს ხმა. მაგრამ ამ სისტემას გააჩნია ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაკლი. თუ გამარჯვებისათვის საჭიროა 50% + ერთი ხმა, დანარჩენი ხმები იკარგება. ეს ნიშნავს, რომ შესაძლებელია ისეთი ვარიანტი, რომ რომელიღაც პოლიტიკურმა ძალამ მთელი ქვეყნის მასშტაბით, სადაც ვთქვათ იყო 150 საარჩევნო ოლქი, მოაგროვოს ყველა ამომრჩევლის ხმების თითქმის ნახევარი და ვერცერთი მანდატი ვერ მიიღოს.

ასეთი შედეგისაგან დაზღვეულია პროპორციული სისტემა, მას სწორედ იმიტომ ჰქვია პროპორციული, რომ პოლიტიკური ძალები მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად ანუ შესაბამისად იღებენ მანდატებს. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ასეთი პარტია 74 მანდატს მაინც მოიპოვებდა. რა თქმა უნდა, ამ სისტემასაც აქვს ნაკლი, უპირველეს ყოვლისა ჩვენთან მას თავს ესხმიან იმის გამო, რომ პარტიები წარმოდგენილია საარჩევნო სიებით და ამომრჩეველს არ შეუძლია მასში ჩარევა, თუმცა პროპორციული სისტემის ზოგიერთი ვარიანტი ამას ითვალისწინებს.

რაც შეეხება ერთადერთი გადასაცემი ხმის ვარიანტს, ისიც პროპორციულ სისტემებს განეკუთვნება, მაგრამ მას გააჩნია როგორც პროპორციული სისტემის უპირატესობები, ე.ი. ის, რომ ხმები პრაქტიკულად არ იკარგება, აგრეთვე მაჟორიტარულისა — ის, რომ ამომრჩევლები საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატებს ხმას უშუალოდ აძლევენ. 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებიც სახელმწიფო საბჭოს პირველად მიღებული კანონის მიხედვით ამ სისტემით უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ კანონში შავით თეთრზე ეწერა, რომ მისი მიღების შემდეგ მასში ცვლილებების შეტანა არ შეიძლებოდა, „დას“-ის და რესპუბლიკური პარტიების წინააღმდეგობის მიუხედავად, ყველა სხვა პოლიტიკური ძალებისა და პიროვნებების ზეწოლით ეს კანონი შეცვლილ იქნა და არჩევნები შერეული ანუ პროპორციულ-მაჟორიტარული წესით ჩატარდა. თუმცა ამ სისტემასაც გარკვეული მინუსი ჰქონდა, რადგანაც საარჩევნო ოლქებში მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, შედეგების შეჯამება ადგილებზე ვერ მოხერხდებოდა და რამოდენიმე ცენტრში კომპიუტერების საშუალებით უნდა მომხდარიყო, რასაც გარკვეული უნდობლობა შეიძლებოდა გამოეწვია.

მთელი მსჯელობა აქამდე თეორიული ხასიათის იყო, მაგრამ პრაქტიკაში საქმე სულ სხვანაირადაა. ჩემი აზრით დღევანდელ საქართველოში მაჟორიტარული არჩევნების ჩატარება არ შეიძლება და შევეცდები დავასაბუთო თუ რატომ:

თუ გადავხედავთ საქართველოს დღევანდელ პარლამენტს, სადაც როგორც პროპორციული, ასევე მაჟორიტარული წესით არჩეული პარლამენტარები არიან და თუ გავიხსენებთ, იმას, რომ პარლამენტის მთავარი საქმიანობა კანონმდებლობითი შემოქმედებაა, სწორედ პარტიული სიებით არჩეული დეპუტატები იღებენ მასში მთავარ მონაწილეობას, ხოლო მაჟორიტარები, რამდენიმე იშვიათი გამონაკლისისა, თითქმის არავითარს. თუმცა არც პოლიტიკური საკითხების განხილვისას გამოირჩევიან ისინი. მაგრამ ეს არ არის მთავარი. 1992 წლის ოქტომბერში, როდესაც წინა არჩევნები ტარდებოდა, ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილებზე, ანუ რაიონის გამგებლები, პოლიციის უფროსები, პროკურორები და ა.შ. სრულად ვერ ფლობდნენ სიტუაციას, ხოლო მაფიოზურ-კრიმინალური ელემენტები ძარცვა-გლეჯით იყვნენ დაკავებულნი და ხელისუფლებისთვის მაშინ არ ეცალათ. დღეს კი სიტუაცია სხვანაირია, ადგილებზე ხელისუფლებას და კრიმინალურ-მაფიოზურ ელემენტებს ბევრი საშუალებები აქვთ ამომრჩევლებზე ზემოქმედებისა, განსაკუთრებით დედაქალაქის გარეთ. ეს კარგად დაამტკიცა ვაკის რაიონში 13 ნოემბერს ჩატარებულმა არჩევნებმა.

აქ ძირითადად ორი კანდიდატი იბრძოდა გამარჯვებისათვის, ბატონი ზურაბ ცქიტიშვილი, რომელსაც მოქალაქეთა კავშირი უჭერდა მხარს და ბატონი ვახტანგ ბეგიაშვილი, რომლის ზურგს უკანაც მხედრიონი იდგა. ვაკის და მთელი თბილისის მოსახლეობა ტელევიზიის ოთხივე თუ ხუთივე არხით მხოლოდ მათ რეკლამას უყურებდა და ქუჩებიც მხოლოდ მათი მაღალპოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ფერადი პორტრეტებით და პლაკატებით იყო მოფენილი. სხვა კანდიდატებს კი მოსახლეობა პრაქტიკულად არ იცნობდა და ამიტომ წინასწარ მინდა ვთქვა, რომ ასეთ პირობებში ხმების ის ათი პროცენტი, რომლებიც რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა ლავროს შევარდნაძემ მიიღო, მეცუდ შედეგად არ მეჩვენება. საბოლოოდ ხმების 42,5%-ით გაიმარჯვა ბეგიაშვილმა, ხოლო ცქიტიშვილმა კი 26,67% მიიღო. თუმცა აქვე მინდა დავუმატო, რომ იმ 5101 ხმიდან, რომელიც ბატონმა ბეგიაშვილმა მიიღო, დაბა წყნეთზე 2499 ხმა მოდის ანუ თითქმის ნახევარი. ამაზე კომენტარი მე მკითხველისთვის მიმინდია.

ამ არჩევნების შემდეგ მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ზურაბ ჟვანიამ პროგრამა „ალიონში“ თავისი და მთელი პარტიის სახელით განაცხადა, რომ საქართველოში მაჟორიტარული არჩევნების დაშვება არ შეიძლება, რადგანაც მათ მოიგებენ ისინი, ვისაც ბევრი ფული აქვს, თუმცა ბატონ ზურაბს დაავიწყდა ორი რამ: ჯერ ერთი ის, რომ მოქალაქეთა კავშირის წევრები სახელმწიფოს მეთაურთან ერთად ფილარმონიაში გამართულ „შაბაშებზე“ როგორ ერთხმად ითხოვდნენ მხოლოდ მაჟორიტარულ არჩევნებს, ზოგიერთები კი პოლიტიკურიპარტიების აკრძალვასაც მოითხოვდნენ, მეორე კი ის, რომ ბატონმა ცქიტიშვილმა ბატონ ბეგიაშვილზე ნაკლები თანხები როდი დახარჯა, უბრალოდ, ბეგიაშვილმა წყნეთში მცხოვრები ლტოლვილებისთვის წყლის მიტანით, ავტობუსის დანიშვნით და სხვა საშუალებებით მათი გადაბირება მოახდინა და ამით გაიმარჯვა.

რაც შეეხება ამ კანდიდატების მიერ დახარჯულ თანხებს, მათი დადგენა ალბათ შეუძლებელია, მხოლოდ ერთ რამეს მინდა ყურადღება მივაქციო: დეპუტატობის კანდიდატებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ფონდი 1500 დოლარს შეესაბამებოდა, ხოლო ტელევიზია კანდიდატებს რეკლამის გაშვებაში წუთში 80 დოლარს თხოვდა, თუ კი ბატონების ცქიტიშვილისა და ბეგიაშვილისათვის დათმობილ საეთერო დროს ავიღებთ, თითოეული ერთ საათს მაინც იმყოფებოდა ტელეეკრანზე. საარჩევნო დებულების მე-11 მუხლის თანახმად იმ კანდიდატებს, რომლებიც დაუშვებენ დადგენილი საარჩევნო ფონდის გადამეტებას, უნდა ჩამოერთვათ მანდატი და აეკრძალოთ შემდგომ არჩევნებში მონაწილეობა. ამ საქმეებს განიხილავს უზენაესი სასამართლო. თუმცა მე ძალიან მეპარება ეჭვი, რომ ეს საკითხი ვინმემ დააყენოს, ხოლო სასამართლომ კი განიხილოს.

ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტში დიდი ბატალიები არის მოსალოდნელი ახალი საარჩევნო კანონის განხილვისას, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მომავალი პარლამენტი ორპალატიანი იქნება, მაშინ ალბათ ყველასთვის მისაღები იქნება ის, რომ ყველა პალატაში არჩევნები პროპორციული წესით უნდა ჩატარდეს, ხოლო ზედაში მაჟორიტარული ან კიდევ სხვა მისი მსგავსი წესებით.

მ. ბაჟუნაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

შესაძლებელია თუ არა კიბოთი დაავადებულთა განკურნება?

ღია წერილი ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრისა და საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოებს

ბ-ნ თ. გაზდელიანს
საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ჯანდაცვის კომისიის თავმჯდომარეს
ბ-ნ რ. კუპრავას
საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარეს
ბ-ნ ა. ჯორბენაძეს
საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრს

ღრმად პატივცემულო ბატონებო!

გადაუდებელ აუცილებლობად მიგვაჩნია თქვენი ყურადღება მივაპყროთ იმ გარემოებას, რომ ამჟამად საქართველოში არსებობს რეალური შესაძლებლობა კიბოთი ავადმყოფთა მკურნალობის მეტად ეფექტური ახალი მეთოდის უახლოეს დროში შექმნისა და გთხოვთ დახმარებას სამუშაოების დასკვნითი ეტაპის ჩატარების უზრუნველყოფისათვის.

ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობის ახალი მეთოდი, განსხვავებით დღემდე გამოყენებადი მეთოდებისა, სრულიად გამორიცხავს ქირურგიული ოპერაციის, სხივური და ქიმიოთერაპიის გამოყენებას და გულისხმობს კიბოს ლოკალიზაციის ორგანოში, მწვავე იშემიის გამოწვევის საშუალებით, კიბოს პირველადი კერის **„მოხრჩობას“** და მისივე სამუალებით დამორგუნულ ზემოქმედებას ორგანიზმში მიმდინარე მეტასტაზურ პროცესებზე, რაც ავადმყოფთა აუცილებელ და ურეციდივო განკურნებას იწვევს. აღნიშნული მიღწევა პირველი რიგის სამუშაოების დამთავრების შედეგად, რაც უახლოეს 1-1,5 წელიწადშია შესაძლებელი, ხოლო მეორე რიგის სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოსალოდნელი იქნება კიბოს წარმოშობის საწინააღმდეგო ინდივიდუალური პროფილაქტიკა და ავადმყოფთა განკურნება აქტიური ვაქცინაციის საშუალებით, რაც პრაქტიკულად გადაწყვეტს **„კიბოს პრობლემას“** კაცობრიობისათვის.

მეთოდის შექმნის თეორიული დასაბუთება ემყარება ბიოლოგიურ და ონკოლოგიურ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანეს მიღწევებს უკასკნელ ასწლეულის მანძილზე. იგი მრავალგზის არის განხილული ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის სამეცნიერო საბჭოს და ყოფილი სსრკ-ს გამოგონების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შესაბამისი კომისიების სხდომებზე, რომელთა დასკვნები მეთოდის თეორიული დასაბუთების შესახებ, არ შეიცავს მის საწინააღმდეგო რაიმე სერიოზულ მტკიცებას.

მეთოდზე მუშაობის თითქმის ორ ათეულწლიან პერიოდში ჩატარებულია სათანადო ექსპერიმენტული ძიებანი, **რომლებმა დამაჯერებლად აჩვენეს მეთოდის გამოყენების აბსოლუტური უვნებლობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.**

აღნიშნულის საფუძველზე, არაერთგზის იქნა დაყენებული საკითხი მეთოდის გამოყენების შესახებ სარძეკვე ჯირკვლის კიბოიან ავადმყოფებზე მანამდე, ვიდრე მათ ძუძუ მოეკვეთებოდათ. ამ მანიპულაციის ჩატარებას არაფრით არ შეეძლო ხელი შეეშალა საყოველთაოდ მიღებული ქირურგიული მკურნალობის განხორციელებისათვის ან რაიმე ზიანი მოეტანა ავადმყოფისათვის, ხოლო ახალი მეთოდის დახვეწისათვის კი, ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეეძლო. სამწუხაროდ, სამედიცინო საზოგადოების კონსერვატული სტერეოტიპული აზროვნების და კიდევ სხვა სუბიექტური მიზეზების გამო, დღემდე ვერ მოხერხდა აღნიშნულ საკითხზე ოფიციალური თანხმობის მიღება მეთოდის კლინიკური გამოცდის შესახებ, რასაც ასე **დაჟინებით მოითხოვდა გამოგონების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი.**

შექმნილი მდგომარეობის გამო, სრულიად დარწმუნებულებმა საკუთარი დასკვნების სისწორეში, ავადმყოფთა წერილობითი თხოვნის საფუძველზე, პირადი პასუხისმგებლობით, უკასკნელი ოთხი წლის მანძილზე მეთოდი გამოიყენეს სარძეკვე ჯირკვლის III—IV სტადიის კიბოს მქონე 18 ავადმყოფზე ბინისა და ამბულატორიის პირობებში.

ჩატარებულმა სამუშაომ ერთხელ კიდევ დაადასტურა კიბოს „მოხრჩობის“ მეთოდის გამოყენების აბსოლუტური უვნებლობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მაგრამ უაღრესად პრიმიტიული და კუსტარული სამუშაო პირობების გამო მეთოდის გამოყენების ოპტიმალური პარამეტრების დადგენა ვერ მოხერხდა. ამის გამო დაიკარგა მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მეთოდის გამოყენების შედეგად გამოწვეული მორფოლოგიური, ბიოქიმიური, ჰისტოქიმიური, ელექტრონომიკროსკოპიული და იმუნოლოგიური ცვლილებების შესახებ, როგორც კიბოს პირველად კერასა და მეტასტაზურ კვანძებში, ისე მთელ ორგანიზმში. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე მათემატიკური მოდელირებისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება საშუალებას მოგვცემდა დაგვდგინა მეთოდის გამოყენების ოპტიმალური პარამეტრები ცალკეულ ავადმყოფთათვის ინდივიდუალურად.

ბატონებო! სრული პასუხისმგებლობის შევნებით გარწმუნებთ, რომ ძალიან ახლოს ვართ კიბოს პრობლემის გადაწყვეტასთან და უსაგნო დავა — კამათი ამ საქმეს წინ ვერ წასწევს, მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ზემოთმოხსენებულის დაცვა შეგვიძლია ნებისმიერი დინტერესებული აუდიტორიის წინაშე. ამის გამო ისევლაც დიაკრგა 10 წელზე მეტი დრო. საჭირო დაუყოვნებელი ოპერატიული პრაქტიკული მოქმედება მეთოდის შექმნის პირველი რიგის სამუშაოების დასკვნითი ეტაპის განხორციელებისათვის, რისთვისაც აუცილებელია ჩატარდეს შემდეგი სამუშაოები:

1. ქ. თბილისის რომელიმე საავადმყოფოში შეიქმნას 10 საწოლიანი განყოფილება აღჭურვილი სათანადო აპარატურით და საოპერაციო ბლოკით.

2. განყოფილებას დაერთოს ნება სარძეკვე ჯირკვლის კიბოს მქონე 30 — 40 ავადმყოფის მიმართ, რომელთაც უნდა გაუკეთდეთ რადიკალური მასტექტომია, მათივე თანხმობით, ოპერაციამდე 10—15 დღით ადრე, გამოყენებულ იქნეს კიბოს „მოხრჩობის“ მეთოდი; შემდეგ გაკეთდეს ოპერაცია და სათანადო მეთოდებით გამოკვლეულ იქნეს როგორც მოკვეთილი პირველადი კიბო და მეტასტაზური კვანძები, ისე ავადმყოფის ძთელი ორგანიზმი. ყოველივე აღნიშნული ავადმყოფს უნდა ჩაუტარდეს უფასოდ. აღნიშნული წარმოადგენს მეტად საპასუხისმგებლო სამეცნიერო-კვლევით პროცესს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეთოდის საბოლოო სახით ჩამოყალიბებისათვის.

3. მეთოდის ტექნოლოგიური დამუშავებისათვის ფილტვის, კუჭის, ღვიძლის და სხვა ორგანოთა კიბოს მქონე ავადმყოფთა სამკურნალოდ, პარალელურად ჩატარდეს ცდები მსხვილ ცხოველებზე (ძაღლი, ხბო).

4. მითითებულ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო შეიქმნას 25-30 კაცისა ჯგუფი, შემდგარი სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლის 1-1,5 წლის მუშაობის შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდება სარძეკვე ჯირკვლის კიბოს მკურნალობის ახალი მაღალეფექტური მეთოდი. ეს შედეგი, უახლოეს დროში გახდება საფუძველი სხვა ორგანოთა კიბოს მკურნალობის ანალოგიური მეთოდების შესაქმნელად.

იმედი გვაქვს, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული უმძიმესი მდგომარეობისა, წინამდებარე განცხადებას მოეპყრობით აბსოლუტური გაგებით და ყველაფერს იღონებთ ჩასატარებელ სამუშაოთა დროული ორგანიზებისათვის, რამეთუ კიბოთი ავადმყოფთა მკურნალობის ახალი მეთოდების შექმნა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია, გარდა ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენისა, უდიდეს ეკონომიკურ მოგებასაც მოუტანს სახელმწიფოს.

დიდი იმედით და პატივისცემით
ნ. ჩხარტიშვილი
ექიმი ონკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;
ტელ.: 60—87—06 (ბინა);
ი. გონჯილაშვილი
უკრაინის ინფორმატიკის აკადემიის აკადემიკოსი
ტელ.: 38—96-14 (ბინა); 95-66-40 (სამსახ.);

მიმართვაში მკაფიოდ წერია, რომ მეთოდი გამოყენებული იყო 18 მოხალისე ავადმყოფზე, მაგრამ მისი ოპტიმალური პარამეტრების დადგენა ვერ მოხერხდა. ეს კი იმას გამოიწვია, რომ ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის მიერ დაწესებული უსაფუძვლო აკრძალვებისა და ზედმეტი წინააღმდეგობების გამო იძულებული ვიყავით გვმუშავა უაღრესად პრიმიტიულ პირობებში, რომლის დროსაც მეცნიერული კვლევის ელემენტარული მეთოდების გამოყენებაც კი შეუძლებელი იყო. იგივე სამუშაოების ჩატარების ნაშუალება რომ მოგვცემოდა ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის პირობებში, სადაც საჭირო მეცნიერული გამოკვლევებისათვის ყველა საშუალება არსებობს, კიბოთი ავადმყოფთა მკურნალობის ახალი მეთოდი ათი წლის წინ იქნებოდა ჩამოყალიბებული და მრავალი სიცოცხლე — გადარჩენილი.

ველოდით, რომ ასე ოპერატიულად მოწვეული სამეცნიერო საბჭოების გაერთიანება სამართლიანად იმსჯელებდა ჩვენს მიერ დაყენებული საკითხების შესახებ და მხარს დაგვიჭერდა შესახრულებელი სამუშაოების ორგანიზებაში, ან დასაბუთებულად უარყოფდა მათ. სამწუხაროდ, მთელი ეს თავყრილობა წარიმართა ონკოლოგიური ცენტრის მიერ შექმნილი ძველი სცენარის მიხედვით და დადგენილებაც მის მიერვე დიდი ხნის წინ შედგენილ და შემდგომში მრავალგზის უცვლელად განმეორებულ შტამპს წარმოადგენს. დადგენილების ტექსტი სხდომას არ განუხილავს და არ დუმტკიცებია. აი ეს დადგენილებაც (სტილი დაცულია):

„ 3). აღნიშნული მეთოდის კლინიკაში გამოყენება კლინიკური ექსპერიმენტის სახით კატეგორიულად არ შეიძლება იქნეს დაშვებული, ვინაიდან არ არის გამორიცხული ორგანოს იშემიის გამოწვევის რიგი სერიოზული და ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლისათვის შეუთავსებელი გართულებების განვითარება“. ბატონებო, გვახსენდება ქართული ანდაზა — „მიზეზ მიზეზობთა დოს მარილი აკლიაო“, თორემ მეთოდის აბსოლუტური უვნებლობა დამაჯერებლადაა დამტკიცებული 32 ცხოველის ექსპერიმენტზე და 18 ავადმყოფზე. ყველაფერ ამას რომ თავი დავანებოთ, რომელი სამკურნალო პროცედურაა, რომლის გამოყენების დროსაც რაიმე გართულება არ იყოს მოსალოდნელი? როგორ, თქვენს მიერ ჩატარებული ქირურგიული, სხივური და ქიმიოთერაპიული მკურნალობის შედეგად სიცოცხლისათვის საშიში გართულებები არ ვითარდება? — უამრავი! ამ გართულებების გამო ავადმყოფები არ კვდებიან? — ძალიან ბევრი! იქნებ საკუთარი ავადმყოფებიც გაგხსენებოდათ, რომლებიც დაიღუპნენ მკურნალობის გართულებებისაგან (და არა ავადმყოფობისაგან). და ამის გამო, თუნდაც „მხიფლიო ონკოლოგიაში“, ვინმე უარს ამბობს ამ, ნაკლებად ეფექტურ, მაგრამ მძიმე გართულების მქონე, მეთოდების გამოყენებაზე? — არამც და არამც! რატომ? — იმიტომ რომ დღეისათვის უკეთესი მეთოდები არ არსებობს. იქნებ აგვერიალათ აღნიშნული მეთოდების გამოყენებაც? ბატონებო! საჭიროა არა ახალი მეთოდის „კატეგორიული“ უარყოფა, ბოლომდის გაუთვითცნობიერებელი გართულებების გამო, არამედ ამ გართულებების გამოვლინება და მათი პროფილაქტიკის საშუალებების დამუშავება. აღნიშნული კი ვერ გაკეთდება თავვის ექსპერიმენტში, რამეთუ თავვზე მიღებული გართულება არ არის იდენტური ადამიანის გართულებისა.

4. ა) თქვენ დაჟინებით მოითხოვთ თაგვებზე ექსპერიმენტის ჩატარებას მეთოდის ეფექტურობის დადგენის მიზნით. ასეთი მოთხოვნაც მიგვაჩნია აგრეთვე ზეღონურ წინააღმდეგობად, რადგანაც წინასწარ შეიძლება ასეთი ექსპერიმენტის შედეგების პროგნოზირება. უფრო ხშირად, ექსპერიმენტი უშედეგო იქნება და აი რატომ: თაგვის სარძეკვე ჯირკვალი ფეტვის მარცვლის ოდენობისაა და მასზედ შეუძლებელია იმ სამკურნალო ძალპულაციების შესრულება, რომლებიც ადამიანის სარძეკვე ჯირკვლზე [illegible] აქ ვერ განხორციელდება [illegible] იშემიის მიზანშეწონილი მარ[illegible] მოხერხდება იშემიის შემდგომ [illegible] ჯირკვალში სისხლის მიმოქცევა [illegible] ღონეფილი აღდგენა და მისი კონტროლი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მცდარი ინფორმაციის საფუძველზე ვერ მოხერხდება ადამიანზე ანალოგიური მკურნალობის შედეგის პროგნოზირება. მაშ რისთვის უნდა ჩავტარდეთ თაგვზე ექსპერიმენტი თუ წინასწარ ვიცით,რომ იგი ამ საქმეში ვერავითარ სიცხადეს ვერ შეიტანს? თაგვის ექსპერიმენტში ყოველად შეუძლებელია ადამიანის სამკურნალო კერძო საკითხების გარკვევა, იგი მხოლოდ ადამიანზე უნდა გაირკვეს. თაგვი ადამიანის მაგივრობას ვერ გასწევს, ხოლო რაც შეეხება მეთოდის ზოგად გავლენას — მისი უვნებლობის თაობაზე ზემოთ მოგახსენეთ.

4. ბ) რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას იშემიის ოპტიმალური ხანგრძლივობის დადგენის შესახებ, სწორედ მის დასადგენადაა საჭირო სამუშაოთა დასკვნითი ნაწილი, რომლის შესრულებისათვის დასახმარებლად შევაწუხეთ ჩვენი ზემოთმოყვანილი მიმართვის ადრესატები, თუმცა ჯერჯერობით — უშედეგოდ. ეხლაც კი ის შეგვიძლია მოგახსენოთ,რომ ეს ხანგრძლივობა სხვადასხვა ავადმყოფისათვის განსხვავებული იქნება და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად, კომპიუტერული ტექნოლოგიის საშუალებით განისაზღვრება. სწორედ ეს მომენტია მეთოდის საყრდენი წერტილი და მისი წარატების საწინდარი. კი ბატონო, მოგვეცით ნორმალური მუშაობის საშუალება (არა ისეთი, როგორსაც თქვენ გვთავაზობთ) და იშემიისათვის საჭირო დროსაც დავადგენთ და მეთოდიც მზად იქნება მასიური გამოყენებისათვის განწირულ ავადმყოფთა გადასარჩენად. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ იშემიური პროცესის მართვის ოპტიმალური პარამეტრების დადგენაში ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევს ორგანიზმში მიმდინარე პროცესების მათემატიკური მოდელირება და მათი კომპიუტერული იმიტაციები. ღვეს ჩვენ გაგვაჩნია ყველა პირობა იმისათვის, რომ ბიოქიმიური, ბიოფიზიკური, ფიზიოლოგიური თუ პათოლოგიური პროცესების შესწავლა მოვახდინოთ ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების საფუძველზე. ამისათვის ჩვენ

გაგრძელება მე-8 გვ.

შესაძლებელია თუ არა კიბოთი დაავადებულთა განკურნება?

მეშვიდე გვერდიდან

გაგვაჩნია საკუთარი ძალები და არავისთან ხელგაწვდილი მისვლა არ გვჭირდება. საჭიროა მხოლოდ მოვიპოვოთ მეცნიერული კვლევისათვის საჭირო ინფორმაცია და ეს მხოლოდ ტექნიკურად სრულყოფილად აღჭურვილ კლინიკაშია შესაძლებელი.

4. ბ) აშშ-ის ეროვნის შემდეგ კიბოს „გენერალიზაციის“ გამორიცხვის მეთოდი თავისთავად გულისხმობს, რადგან იშვიათის ზონაში იქმნება სიცოცხლისათვის შეუთავსებელი გარემო, რომელიც პირველ რიგში კიბოს უჯრედებს კლავს, მკვდარი უჯრედების საშუალებით კი „გენერალიზაცია“ ვერ განხორციელდა. ისე კი, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ონკოლოგიაში არარსებობს მეთოდი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდეს მეტასტაზების ჩასახვის დროის დაფიქსირება. ასე რომ, „გენერალიზაციის“ შემთხვევაში შეუძლებელია დავადგინოთ მეტასტაზების ჩასახვა რომელი უჯრედების საშუალებთ მოხდა: იმ უჯრედებისა, რომლებიც უმრავი რაოდენობით გამოიფრქვეოდა ორგანიზმში კიბოს პირველადი კერის წარმოშობიდან ჩვენი მეთოდის გამოყენებამდე, თუ იმ უჯრედებისა, რომლებიც ჩვენი მეთოდის გამოყენების შემდეგ გავრცელდა ორგანიზმში. აღნიშნულის იდენტიფიცირება დღეისათვის შეუძლებელია და ამდენად ეს მოთხოვნაც ზედოვნურად შექმნილ წინაღმდეგობას წარმოადგენს.

ამრიგად, კიბოთი ავადმყოფთა სამკურნალო ახალი მეთოდის კლინიკური გამოცდის ამკრძალავი დადგენილების ყველა მუხლი ხელოვნურადაა შეკოწიწებული და მათ რეალური, მით უმეტეს საქმისადმი გულშემატკივრული საფუძველი არ გააჩნიათ.

ჩვენი აღრეული პუბლიკაციების მიხედვით ბრალად გვდებთ, რომ არაფრად ვაგდებთ ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობის საქმეში მიღწეულ წარმატებებს და შეურაცხყოფას ვაყენებთ მსოფლიო ონკოლოგიას. არა ბატონებო, მსგავსი რამ ფიქრადაც არ მოგვსვლია. დიახაც ქირურგიამ, ხიჯრამ და ქიმიოთერაპიამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობის საქმეში. კეთდება ურთულესი რადიკალური და რეკონსტრუქციული ოპერაციები, ამ მხრივ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის ექიმთა საქმიანობა მსოფლიოს ნებისმიერ წამყვან კლინიკებს დაუშვებლად... მაგრამ მომავალში ონკოლოგია ვერ იყოს, ვერ განვითარდეს ქირურგიის გზით — ქირურგია არ არის ონკოლოგიის მოსაჯალი. ფიზიკ თქმის ხიჯარ და ქიმიოთერაპიაზეც მოუხედავად ურთულესი

და უნიკალური ოპერაციებისა ავადმყოფები მაინც იღუპებიან და, ძალიან ხშირად იმასე ადრეც ვიდრე ეს ოპერაციად მოხდებოდა. ავადმყოფისათვის კი სულერთია, უნიკალურად ნოპერაციები მოკვდეს, თუ უმისოდ, — თუმცა პირველი გაცილებით ძვირი უჯდება.

ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამკურნალო მეთოდებმა, მოუხედავად მათი დახვეწისა, დიდი ხანია მიაღწიეს თავიანთ შესაძლებლობათა მაქსიმუმს და მეტის მოცემა აღარ შეუძლიათ. ამიტომაა, რომ უკვე ორმოც წელზე მეტია არ უმჯობესდება ნამკურნალევ ავადმყოფთა სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებელი. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ მისი აღნიშვნა რატომღაც არ სიამოვნებთ ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში, თითქოს ეს მათი ბრალი იყოს. ბრალი კი თვით ამ მეთოდებს მოუძღვით იმ მარტივი მიზეზით, რომ მათი მოქმედების არეალი ვერ წვდება ორგანიზმში კიბოს გავრცელების არეალს. სხვა სიტყვებით: დღეისათვის ხმარებადი კიბოს სამკურნალო მეთოდები მოქმედებენ „რადიკალურად“ ერთ, ან რამოდენიმე ორგანოზე, კიბო კი მთელს ორგანიზმშია გავრცელებული. ამიტომ, ერთი ან რამოდენიმე ორგანოს ამოკვეთით მკურნალობა — თუ ამას მკურნალობა შეიძლება ეწოდოს, — საქმეს ვერ შველის და დანარჩენ ორგანოებში არსებული კიბის მეტასტაზები მაინც კლავს ადამიანს.

აღნიშნულის გამო, ყველასათვის ცხადია, რომ ონკოლოგიურ ავადმყოფთა სამკურნალოდ დღეისათვის ხმარებადმა მეთოდებმა, რომლებიც დიდი შრომითაა შექმნილი და თავის დროზე წარმოდგენდნენ პროგრესს ონკოლოგიაში, საბოლოოდ ვერ გაამართლეს და საჭირო მათი შეცვლა უფრო უკეთესით, — ისეთი სამკურნალო მეთოდებით, რომლებიც ავადმყოფს განკურნავს, თანაც განკურნავს ორგანოთა შენარჩუნებით, რამეთუ ორგანიზმში ზედმეტი ორგანო არ არსებობს. სწორედ აღნიშნული მიზნის მისაღწევადა მიმართული ჩვენი შრომა და დღეს გვქონდა კიდეც მნიშვნელოვანი წარმატებები, რომ არა ონკოლოგიური ცენტრის სამეცნიერო საბჭოს გაფფრებული წინააღმდეგობა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ონკოლოგიური სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც მოწოდებულია, თუ თვითონ არ შექმნის, ხელი მაინც შეუწყოს კიბოთი ავადმყოფთა მკურნალობის ახალი მეთოდების შექმნას — ყოველმხრივ ხელს უშლის მას. იმასაც სრულიად დარწმუნებით ვიტყოდით, ეს იღეა უცხოეთიდან რომ ყოფილიყო შემოსული, უმალვე აიტაცებდით და, რა თქმა უნდა, სხვებსაც დასწრებდით მისი დანერგვის საშუალების შესრულებას.

თქვენი წინააღმდეგობის ფორმალურ საბაბად გამოყენებულია ის მიზეზი, რომ თითქოს დაუშვებელი იყოს ადამიანზე ექსპერიმენტის ჩატარება. კი მაგრამ განა ექსპერიმენტი არ არის, თქვენი ე.წ. რანდომიზირებული გამოკვლევების ჩასატარებლად ავადმყოფთა ერთ ჯგუფს რომ ჯერ ოპერაციას უკეთებთ და შემდეგ ასხივებთ, ხოლო მეორე ჯგუფს — ჯერ ასხივებთ და მერე უკეთებთ ოპერაციას, ამის გასარკვევად თუ რომელი თანამიმდევრობა იძლევა უფრო უკეთეს შედეგს? ამ დროს კი დიდი ხანია გარკვეულია, რომ არც ერთი მაიგანი არ გამოირჩევა დიდი ეფექტურობით. განა ექსპერიმენტი არ არის, როცა ავადმყოფს ურთულეს ოპერაციას უკეთებთ (ხარჯებს, რომ თავი დავანებოთ) ის კი საავადმყოფოდან გამოწერას ძლივს ასწრებს, რომ იღუპება მეტასტაზების გენერალიზაციისაგან? ყოველივე ამას თქვენ უწოდებთ „მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენებას“, რაც სინამდვილეში წარმოადგენს ექსპერიმენტს (ავადმყოფის განკურნების ცდას) წარმოადგენს. და ამ საქმეში თქვენ არავინ გამტყუნებთ, რადგან ასეთია ონკოლოგიის განვითარების დღევანდელი დონე. აღმაშფოთებელი და ტენდენციური მხოლოდ ის არის, რომ ამ დონის ასამაღლებლად მიმართულ ჩვენს საქმიანობას „ადამიანზე ექსპერიმენტის ჩატარების“ სახელწოდებით ეწინააღმდეგებიან. ამიტომ ეს ოპერაცია (და მრავალი სხვაც) ადამიანზე და მხოლოდ ადამიანზე დამუშავდა, ამის გამო ჰოლსტედი და მაიერი არავის არ დუდასაშაულებია ადამიანზე ექსპერიმენტის ჩატარებაში. მათში მხოლოდ ადამიანის მკურნალებს ხედავდნენ. ჩვენთან კი რა ხდება ის ხდება, რომ მძლავრობს ობიექტური ხასიათი და ძალაუნებურად გახსენდება მეფე გიორგის სიტყვები:... „ჩვენ ქართველები... თუ ვინმე დიდი საქმის გაკეთებას დაპირებს, მაშინვე ვწვდებით მას ყელში და მიწაზე დავარცხნებთ იხერომ რამე საქმის კეთების სურვილი საერთოდ დაეკარგოს...“.

გაერთიანებული სხდომის დადგენილებაში წერია, რომ ჩვენ არ წარადგინეთ ავადმყოფთა მკურნალობის დამტკიცებელი მასალა, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. წარმოდგენილი იყო ჩვენი მეთოდით ნამკურნალევი ავადმყოფი პირადად, სათანადო სამედიცინო დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც მხოლოდ ჩვენი დაინტერესებული მოთხოვნის შემდეგ, იქნა თქვენს მიერ გასინჯული, მაგრამ გასინჯვის შედეგები სხდომას არ მოახსენეთ — ალბათ არ ჩათვალეთ ხელსაყრელად იმის გახმაურება, რომ ავადმყოფი თავს შესანიშნავად გრძნობდა და სურვილი ჰქონდა გამოეთქვა თავისი ზოგიერთი მოსაზრება. ისე კი საინტერესოა, რამდენად ლოგიკური და სამართლიანია, რომ ჩვენგან მოითხოვთ მუშაობის შედეგებს ისე, შუამბის საშუალებას არა თუ არ გვაძლევთ, გეკრძალავთ კიდეც.

ასეთი ხელოვნური წინააღმდეგობების და გაუთავებელი კამათის დაძლევის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჯაროობას. ამიტომ, ჩვენთვის სასამოვნო მოულოდნელობა იყო გაერთიანებული სხდომის დარბაზში ტელეჟურნალისტების გამოჩენა, რომელთაც შეეძლოთ კიბოთი ავადმყოფთა სამკურნალო ახალი მეთოდის შექმნის საქმეში არსებულ გუთავებელი წინააღმდეგობების შესახებ სახოგადოებისათვის სიმართლის თქმა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებმა (სამწუხაროდ მათი ვინაობა ჩემთვის ცნობილი არ არის და გვრის ვერ ვასახელებ) სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარეს პროფ. ი. მეგრელაძეს პირობა მისცეს, რომ არც ერთი, პირადად მის მიერ არა სანქციონირებული სიტყვა ან სიუჟეტი ეთერში არ გავიღოდ, როგორც ეს ძოსალოდნელი იყო, ჩვენგან განსხვავებული აზრის მქონე დამსწრე სას. ადიტორიამ მაინც მაიღწიეთ ტელეჟურნალისტების გაძევებას სხდომათა დარბაზიდან, რითაც ფართო საზოგადოებას მოუსპეთ შესაძლებლობა ამ საქმის შესახებ სიმართლის გაგების.

ძვირფასო კოლეგებო! როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, საქმე ეხება კიბოთი ავადმყოფთა მკურნალობის ახალი მეთოდის შექმნის რეალურ შესაძლებლობას და არა ეკეკ საბოლოოდ ჩამოყალიბებულ მეთოდს. შესრულებულია საშუშაოთა საერთო მოცულობის დაახლოებით სამი მეოთხედი, რაც არც სახელმწიფოს და არც კერძო პირს მიზნობრივად არ დაუფინანსებია, ყველაფერი კეთდებოდა საკუთარი სახსრებით და არავითარ შემთხვევაში — ავადმყოფების ხარჯზე. ამასად შესასრულებელია საშუშაოთა დასკვნითი ნაწილი, რომელიც არც თუ ისე დიდი მოცულობის ფინანსირებას მოითხოვს, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება მეთოდის უფრო სრულყოფილი გამოყენება სარძეკვ ჯირკვლის კიბოთი ავადმყოფთა სამკურნალოდ. ამასად კი ვითხოვთ თქვენს თანადგომას ჩასატარებელ საშუშაოთა ორგანიზებისათვის. ამასთანავე, ჩვენ გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე ყველა დაინტერესებულ სპეციალისტთან, რაგინდ განსხვავებული აზრი არ გააჩნდეს მას.

მრავალი დაბრკოლების მიუხედავად, მოდიან ახალი ავადმყოფებიც და გვთხოვენ ჩავუტაროთ მკურნალობა ჩვენი მეთოდით. ესენი ის ადამიანებია, რომელთაც სარძეკვ ჯირკვლის კიბოს დიაგნოზი დადგენილი აქვთ ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში, მაგრამ არაფრით არ თანხმდებიან ძუძუს მოკვეთაზე, ან არა აქვთ ამისი ფინანსური შესაძლებლობა, ან სულაც თქვენგან აქვთ ნათქვამი უარი მკურნალობაზე დიდი დაგვიანების გამო. ჩვენ არ გვაქვს, არც ზნეობრივი და არც პროფესიული უფლება უარი ვუთხრათ ამ განწირულ ადამიანებს გადარჩენის შესაძლებლობაზე. მაგრამ, ამავე დროს, არავითარი პირობები არ გაგვაჩნია სამკურნალო პროცედურათა ჩასატარებლად, რის გამოც გვიხდება მუშაობა ამბულატორიულ პირობებში, რაც, ერთის მხრივ, მიუთითებს ჩასატარებელ პროცედურების სიმარტივეზე, ხოლო მეორეს მხრივ, სათანადო საკვლევი აპარატურის უქონლობის გამო, იკარგება ის უძვირფასესი სამეცნიერო ინფორმაცია, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მკურნალობის ახალი მეთოდის სრულყოფისათვის.

აღნიშნულის გამო ისევ და ისევ მოგიწოდებთ საქმიანი თანამშრომლობისაკენ. თუ საერთო ძალით ვიმოქმედებთ და სათანადო ფინანსირება გვექნება, ჩვენ შევძლებთ კიბოს პრობლემის გადაწყვეტას უახლოეს მომავალში.

აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და მოვუწოდებთ ჩვენი ქვეყნის, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებს და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, გაიღონ მცირეოდენი სახსრები შესასრულებელ სამუშაოთა დასაფინანსებლად. მაშინ არავისთან შესახვეწი არაფერი გვექნება და საქმეც დიდად დაჩქარდება. ამით, სულ მოკლე ხანში მიიღებთ არა მარტო უდიდეს მორალურ კმაყოფილებას, არამედ სოლიდურ ეკონომიურ სარგებლიანობასაც.

ნოდარ ჩხარტიშვილი,
— ონკოლოგი, მედ. მეცნიერებათა კანდიდატი
დოცენტი
იასონ გონჯილაშვილი,
— პროფესორი, უკრაინის ინფორმატიკის აკადემიის აკადემიკოსი

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიისაგან

პატივცემულო მოქალაქენო, ბიზნესმენებო, საქართველოს უკეთესი მომავლით დაინტერესებულო ადამიანებო!

ჩვენს ქვეყანას აქვს ამოცანები, რომელსაც ერის უდიდესი ძალისხმევა სჭირდება. საჭიროა ხელისუფლებაში ჯანსაღი (ახალი ტიპის) ადამიანების მოსვლა არჩევნების (და არა ძალადობის) გზით, რასაც დიდი ხარჯები ახლავს. საჭიროა სახელმწიფოსიან შეზღდული მფლობელობა, რაც ვერ მოხერხდება მანამდე, სანამ ხელისუფლებაში ახალი ადამიანები არ მოვლენ. ეს ძალები დღეს ძლიერია ორგანიზაციაც, ბანკური ორგანიზაციისაც და ფინანსურადაც. სახელმწიფოს და სახოგადოების მართვის არსებული სისტემის წყალობით. მასთან დაპირისპირებას სჭირდება პატიოსან ადამიანთა ორგანიზაცია, ორგანიზაციას კი სჭირდება დაფინანსება.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ის პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც სწორედ ამ მიზნებს ისახავს. ჩვენი პარტია, ბევრი სხვა პოლიტიკური ორგანიზაციისაგან განსხვავებით, არასოდეს მიმართავს დაფინანსების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა უპრინციპობითა და შემგუებლობით სახელისუფლო სტრუქტურების (თუ პოსტების) გამოყენება შემოსავლების წყაროდ, გამოძალვა ან საეჭვო ხასიათის კომერცია. ჩვენი საქმიანობის დასაფინანსებლად ძირითადად ორი გზა არსებობს: საწევრო გადასახადი (რაც ძალიან მცირეა ჩვენი ამოცანების გადასაწყვეტად) და შემოწირულობა. ამიტომ ვთხოვთ საქართველოს მოქალაქეებს, ყველა პატიოსან ბიზნესმენებს, ხელი შეუწყონ კანონით დაშვებული ფორმებით ჩვენი საქმიანობის დაფინანსებას.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის გაძლიერება ცივილიზებული, ღია, პატიოსანი მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერის გზით ნიშნავს წესიერი ბიზნესის აღორძინებას, ჯანსაღი ეკონომიკური ვითარების შექმნას, შეწარმეების დაცვას კრიმინალური საყაროს ზემოქმედებისაგან, კეთილსინდისიერი კონკურენტული გარემოს ფორმირებას. ჩვენ გპირდებით, რომ არ დავაკლებთ ძალისხმევას და ყოველნაირად შეეწყობით ხელს ეფექტიანი საგადასახადო სისტემის შექმნას. საშეწარმეო კანონმდებლობის სრულყოფას, მოსახლეობის სოციალური დაცვის ახალი მექანიზმების ამოქმედებას. ვეცდებით მოგაცილოთ თავიდან სახელმწიფო თუ არასახელმწიფო რეკეტი, ხელი შეეწყოთ პატიოსან და კომპეტენტურ სახელმწიფო მოხელეთა გამოვლენასა და დასაქმებას.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიისათვის ფინანსური მხარდაჭერა ნიშნავს, მომავალში არა მარტო თქვენი საქმის დაცვას, არამედ თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების სიმშვიდეს და უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მთელს ქვეყანაზე წესრიგის დამყარებას, საქართველოდან იძულებით წასული საქმიანი ადამიანების უკან დაბრუნებას.

ყველა მოქალაქეს, ვისაც სურს მხარი ამოუდგეს ჩვენს საერთო საქმეს და აქვს საშუალება ფინანსური დახმარება გასწიოს, ვთხოვთ მობრძანდეს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სათაო ოფისში, შემდეგ მისამართზე: **თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. № 5. მიმართეთ ამ საქმისათვის შექმნილ სპეციალურ საფინანსო კომისიას.**

საჭიროების შემთხვევაში დამფინანსებელი პიროვნების კონფიდენციალობა უზრუნველყოფილი იქნება.

იყიდება სატვირთო თვითმცლელი „კრაზი“, 4 წლის, მუშა მდგომარეობაში. ფასი 2500 დოლარი. 2 ცალი უჟანგავი ლითონის ერთტონიანი კასრები და 12 კვ.მ. ჭიხური იაფად. ტელ: 93-18-41, 39—09—40

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.12.94წ.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი სახელშეკრულებო

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99